ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 12 აგვისტო, 2015 №187 (6807) ფასი: 30 თეთრი

## რუსეთი აფხაზეთის დაფინანსებაზე უარს ამბობს

დაპირებული 3,7 მილიარდი რუბლის ნაცვლად სოხუმი 127 მილიონ რუბლს მიიღებს



გვ.3

# „მერაბიშვილი და ახალაია სააკაშვილს აშანტაჟებენ“



„ნაციონალების მხრიდან რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმას გამოვრიცხავ. მათ აქვთ სურვილი, არეულობა მოაწყონ. გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილი იმყოფება შანტაჟის ქვეშ. მას თანაპარტიელები კატეგორიულად სთხოვენ, ახალ წლამდე გამოიყვანოს ციხიდან, თორემ ყველაფერს იტყვიან მასზე“

გვ.2

## ომარ ნიშნიანიძე; „გია ბარამიძე და გიორგი კარბელაშვილი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ!“



## რა წერილი შევიდა პროკურატურიდან პარლამენტში

გვ. 3



## კობა ხარშილაძე: „ზურაბ ქვანიას ორიენტაციის შესახებ დიდი ხანია ვიცოდი და მისგან შემოთავაზებაც მქონდა“

გვ. 5

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

სახელმწიფო მულტიპლექსისთვის მინიჭებული ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისთვის განკუთვნილი დროებითი სიხშირული რესურსი მუდმივი სიხშირეებით იცვლება.

მიმდინარე წლის 13-14 აგვისტოს, ჩოხატაურში, ცაგერში, ლენტეხსა და მესტიაში ციფრულ სატელევიზიო მიმღებ აპარატურაზე ძებნის რეჟიმის გააქტიურების შედეგად, გადაცემების ხილვა შესაძლებელი იქნება **578 მჰც სიხშირეზე**, ოზურგეთში - **490 მჰც სიხშირეზე**, ხოლო დედოფლისწყაროში - **546 მჰც სიხშირეზე**.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ გვერდს digitaltv.ge ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: 1480



გვ. 4

## შს მინისტრმა დაჭრილი პოლიციელი მონახულა

ISSN 1987-9385



## მარია გაიდარი მიხეილ სააკაშვილს გაუპატიურებაში ადანაშაულებს

გვ.2

# „მერაბიშვილი და ახალაია სააკაშვილს აშანტაჟებენ"

ნონა ცაბაძე

## სანდრო ბრეგაძე: „ხელისუფლება „რუსთავი 2"-ის საქმეებში არ ერევა"

**ერევა თუ არა ხელისუფლება მედიის საქმიანობაში, დაინტერესებულია თუ არა „რუსთავი 2"-ით „ოცნების" ხელისუფლება, როგორ აპირებენ სოციალური უკმაყოფილების თავიდან აცილებას, მართლაც გეგმავს თუ არა მარგველაშვილი ახალაიასა და მერაბიშვილის შეწყალებას? – ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას" სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე პასუხობს.**

***– ბატონო სანდრო, თქვენთვისაც ცნობილი იქნება, რომ „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობა სწორედ თქვენს ხელისუფლებას ადანაშაულებს და ამ პროცესს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. რამდენად ცდილობს „ოცნების" ხელისუფლება, „რუსთავი 2" ხელში ჩაიგდოს?***

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე დეკლარირებულ იქნა მაშინდელ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომ „ქართული ოცნება" არანაირად არ ჩაერევა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში. ამის თვალნათელი დადასტურება არის ის, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი ბერკეტი რომელიმე საინფორმაციო საშუალებაში. ხშირ შემთხვევაში, ეს ხელისუფლებისთვის არ არის კარგი, მაგრამ, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ, ხელისუფლება, არანაირად ვუშვებთ იმას, რომ მასმედიის საშუალებაში ხელები ვაფათუროთ.

***– ამას ნაციონალური მოძრაობაც გდებთ ბრალად...***

– ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში ყოფნისას თავად ჰქონდა მონოპოლიზებული მასმედიის საშუალებები და დღესაც მათ პირდაპირ პროპაგანდისტულ იარაღად იყენებს. დღესაც აქვთ რამდენიმე ტელევიზია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის რეკლამირებაზე, პიარსა და პროპაგანდაზე მუშაობენ.

***– მაშინ რატომ წამოვიდა ასეთი ბრალდებები?***

– ელემენტარულად, ეს არის უსინდისობა! ნაციონალურ მოძრაობას, რომლისგანაც ეს ბრალდებები მოდის, არანაირი მორალი არ გააჩნია. მათ შეუძლიათ, ადამიანს დააბრალონ ისეთი რამ, რაც ამ ადამიანებს არც კი გაუფიქრებიათ. ისინი ხელისუფლებას აბრალებენ იმას, რაც არც კი გაუფიქრებია. არანაირი სურვილი, არანაირი მზაობა იმისა, რომ ვინმე ჩაერიოს რომელიმე მასმედიის საშუალების საქმი-



ანობაში, არ არსებობს! ეს თითოეულმა ჟურნალისტმა იცის მშვენივრად. ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს, ხოლო ნაციონალების მხრიდან არსებობს. არ მინდა ჩამოვთვალო მასმედიის ის საშუალებები, რომლებიც დღეს ნაციონალების დაქვემდებარებაში არიან და მის დავალებებს უსიტყვოდ ასრულებენ.

***– მაინც რომლები?***

– ასეთი საშუალება ძალიან ბევრია. ეს მთელმა საქართველომ იცის და ისინი უშუალოდ ემორჩილებიან ნაციონალური მოძრაობის ნება-სურვილს. მათ საინფორმაციო ბადეს ადგენენ ნაციონალური მოძრაობის წევრები! აქედან გამომდინარე, უხერხულია სხვისკენ თითის გაშვერა.

***– აბა, რა ხდება „რუსთავი 2"-ის თავს? მართლაც კანონიერი მეწილეები ითხოვენ წილის დაბრუნებას?***

– მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას, რომ ჩვენ არანაირად არ ვერევით იმ საქმეებში, რომლებიც ხდება „რუსთავი 2"-ის შიგნით. ეს თვითონ მისმა ყოფილმა და ახლანდელმა მფლობელებმა გაარკვიონ. ეს ჩვენი საქმე არ არის და ამაზე მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ. დიდი იმედი მაქვს, სასამართლო გამოიტანს ობიექტურ გადაწყვეტილებას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

***– თქვენ ბრძანებთ, რომ ეს ტელევიზია ნაციონალების პროპაგანდისტული მანქანაა, თუმცა ბევრი თანხმდება იმაზე, რომ ხალხს ძალიან უჭირს, რომ მართლაც ამდენი მშიერი და უმუშევარი მოქალაქე ჰყავს ქვეყანას და ეს ტელევიზიამ უნდა გააშუქოს. მაშინ რატომ არის ამხელა უკმაყოფილება?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ მასობრივი უკმაყოფილებაა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და საზოგადოებაში იქნებიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ ხელისუფლება და აუცილებლად იქნებიან ისეთებიც, რომლებსაც არ მოსწონთ ხელისუფლების პოლიტიკა. ყველას რომ მოსწონდეს, მაშინ დემოკრატია აღარ გვექნებოდა. შესაძლოა, ხალხს დიდი ოცნებები ჰქონდა, ბევრ იმედს ამყარებდა, მაგრამ, რაც ოცი წლის განმავლობაში ინგრეოდა, ყველაფერი განადგურებული დაგვხვდა, ყველა სფერო, არანაირი რესურსი არ დატოვეს, ყველაფერი სახლში წაიღეს კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა და ამის ერთბაშად, ორ-სამ წელიწადში აღდგენა რომ შეუძლებელია, ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს. ორ-სამ წელიწადში ჩვენს ქვეყანას შვეიცარიის დონისად ვერ გავხდით. ამ ყველაფერს დრო სჭირდება, მთავარია, არსებობდეს ტენდენციები, რომ ქვეყანა წავიდეს წინ.

***– და დღეს ჩვენი ქვეყანა ვითომ წინ მიდის?***

– რა თქმა უნდა, მიდის! ამის ტენდენციები არსებობს. ქვეყანაში აბსოლუტური დემოკრატია და თავისუფლებაა. სხვათა შორის, ისეთი დემოკრატიაა, რომ ევროპის ბევრ ქვეყანას გაუკვირდება. ტარდება ევროპული ტიპის არჩევნები, სადაც ყოველგვარი გაყალბება გამორიცხულია. ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეუძლია, თავად განსაზღვროს თავისი ბედი და თავად აირჩიოს ხელისუფალი. ვიცით, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შემდეგ საქართველოში არ ჩატარებულა ნორმალური არჩევნები. ასევე არანაირად არ არის ბიზნესი დატერორებული. ბიზნესგარემო თავისუფალია. ეს ტენდენციები მანიშნებელია იმისა, რომ სიტუაცია მიდის დადებითისკენ. თუ ვინმეს სხვა ოცნებები და იმედები ჰქონდა, ეტყობა, ეს ადამიანები ილუზიებში ცხოვრობენ.

***– არჩევნების თემა ახსენეთ. არ ყალბდება არჩევნები და ეს დემოკრატიის ნიშანიაო. დღეს ძალიან ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსი საუბრობს იმაზე, რომ „ოცნების" რეიტინგი საგრძნობლად დაეცა და რომ გაყალბების გარეშე არჩევნებს ვერ მოიგებთ. ამაზე რას იტყვით?***



– იმაზე საუბარი, თუ რა იქნება 2016 წელს, ნაადრევია. ადამიანებს, რომლებიც ამგვარ პროგნოზებს აკეთებენ, ექსპერტებს არ ვუწოდებ! ისინი მუცლით მეზღაპრეები არიან. იმაზე საუბარი, თუ ვინ მოიპოვებს 2016 წლის არჩევნებში უმრავლესობას, ეს მარჩიელობას ჰგავს. საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვივარაუდებთ იმას, თუ რა სურათი გვექნება 2016 წლის არჩევნებზე. თუმცა, არ დაგიმალათ და, ჩემი დიდი სურვილია, „ოცნების" ხელისუფლებამ გააგრძელოს ქვეყნის მართვა, რათა ეს დადებითი ტენდენციები გაგრძელდეს.

***– ექსპერტებს არ ენდობით, მაგრამ კვლევის შედეგებზე რას იტყვით?***

– რომელ კვლევაზე მეუბნებით? ანგაჟირებულ კვლევებზე, რომლებიც რომელიმე პარტიულ ინტერესებს ემსახურება?! მე ჯერ საქართველოში არ მინახავს ობიექტური კვლევა. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს უცხოური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები 2012 წლის არჩევნების წინ, როდესაც ნაციონალურ მოძრაობას უწინასწარმეტყველებდნენ უპირობო გამარჯვებას, ხოლო „ოცნებას" – უპირობო დამარცხებას, თუმცა არჩევნებმა სხვა რამ გვაჩვენა. მე ვერ ვენდობი სოციოლოგიურ ინსტიტუტებს, რომლებიც ანგაჟირებული არიან და პროფესიონალიზმისაგან საკმაოდ შორს დგანან.

***– თვითონ „ოცნებაც" ატარებს შიდა კვლევებსო და როგორია შედეგი? ამომრჩევლის რამდენი პროცენტი გიჭერთ მხარს? როგორია თქვენეული რეიტინგი?***

– მე არ ვიცნობ ასეთ კვლევებს. არც ის ვიცი, ასეთი კვლევები ტარდება თუ არა და, აქედან გამომდინარე, კომპეტენტური ვერ ვიქნები და კომენტარსაც ვერ გავაკეთებ. დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, „ქართული ოცნება" უმრავლესობას მოიპოვებს, თუმცა ეს უმრავლესობა არ იქნება ტოტალური უმრავლესობა, 70-80%-იანი, მაგრამ, 50%-ს რომ გადააჭარბებს, ამაში დარწმუნებული ვარ. ამას გეუბნებით დღევანდელი მონაცემებით, ხოლო თუ რა იქნება ერთი წლის შემდგომ, ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება საარჩევნო კამპანია. საარჩევნო კამპანიის ეფექტიანობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების შედეგებზე.

***– დღეს ბევრი ოპოზიციური პარტიის ლიდერი საუბრობს იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა გველის. აანონსებენ აქციებს სოციალური უკმაყოფილებისა და ეკონომიკური პროცესების ფონზე. რამდენად მზად არის ამისთვის ხელისუფლება ან რას აკეთებს სიტუაციის გამწვავების თავიდან ასაცილებლად? იქნება მუხტი?***

– აქციების მუხტი რამდენად იქნება, ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, პოლიტიკური პროცესები რომ გამწვავდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, იმიტომ, რომ იწყება საარჩევნო წელი, საარჩევნო კამპანია და ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები მწვავდება, ბევრად უფრო რადიკალური ხდება და ეს ბუნებრივიც არის. ჩვენც ბევრ ისეთ მოვლენასთან გვექნება საქმე, რომლებიც გუშინ და გუშინწინ არ იყო.

***– იგივე ნაციონალებიც აანონსებენ საპროტესტო გამოსვლებს...***

– ნაციონალების მხრიდან რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმას გამოვრიცხავ. მათ აქვთ სურვილი, რომ არეულობა მოაწყონ, გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილი იმყოფება შანტაჟის ქვეშ, მას მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა, კატეგორიულად სთხოვენ, რომ ახალ წლამდე გამოიყვანოს ციხიდან, თორემ ყველაფერს იტყვიან მიხეილ სააკაშვილზე.

რა თქმა უნდა, ამ ფონზე მიხეილ სააკაშვილს აქვს იმის სურვილი, რომ ქვეყანაში იყოს არეულობა, დესტაბილიზაცია. ამისთვის ის დახარჯავს ძალიან დიდ ფულს, გამოიყენებს ყველანაირ ენერგიას.

## მარია გაიდარი მიხეილ სააკაშვილს გაუპატიურებაში ადანაშაულებს



საქართველოს ექსპრეზიდენტსა და ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს სექსუალური ხასიათის ძალადობაში ადანაშაულებენ.

ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული პრესა ავრცელებს.

სააკაშვილი გაუპატიურებაში მარია გაიდარმა დაადანაშაულა.

როგორც უკრაინულ მედიაში პოროშენკოს გარემოცვიდან ინფორმაციამ გაჟონა, სააკაშვილის ქმედებით უკრაინის პრეზიდენტი აღშფოთებულია.

მარია გაიდარი ამჟამად კიევში იმყოფება, ხოლო განხორციელდა თუ არა მის მიმართ სექსუალური ძალადობის აქტი მიხეილ სააკაშვილის მიერ, ამას ექსპერტიზა დაადგენს.

ამ დროისთვის სწორედ მარია გაიდარის განცხადების გადამოწმება მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## შს მინისტრის მოადგილედ ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა

შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილის მოადგილედ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ზურაბ გამეზარდაშვილი დაინიშნა.



ზურაბ გამეზარდაშვილს შსს უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული და წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

ინტერპრესნიუსი

## საქართველოს საგარეო უწყებამ შვეიცარიის მხარეს საპროტესტო ნოტა გადასცა



როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, გუშინ შვეიცარიის მხარეს გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა მიმდინარე წლის 10 აგვისტოს რუსეთის საოკუპაციო ძალის მიერ ქარელის რაიონის სოფლებში ცერონისსა და თამარაშენში „საზღვრის" აღმნიშვნელი ბანერების უკანონო აღმართვასთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ხაზგასმულია, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე მესამედ ფიქსირდება ბანერების აღმართვის ფაქტი. რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართული, პროვოკაციული და აგრესიული ქმედებებით ძაბავს საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე ვითარებას და ქმნის დესტაბილიზაციის საფრთხეს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომარ ნიშნიანიძე; „გია ბარამიძე და გიორგი კარბელაშვილი სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ!“

## რა წერილი შევიდა პროკურატურიდან პარლამენტში

შორენა მარსაგიშვილი

**მოუხსნიან თუ არა გიორგი კარბელაშვილსა და გია ბარამიძეს დეპუტატის იმუნიტეტს, რატომ უნდა დაისაჯონ ისინი განსაკუთრებით, რა წერილი შევიდა საკანონმდებლო ორგანოში პროკურატურიდან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.**

**ომარ ნიშნიანიძე:**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი კოლეგას, გიორგი კარბელაშვილის დაკავების ფაქტზე პარლამენტმა მთავარი პროკურატურისგან შესაბამისი ახსნა-განმარტება მიიღო. მათ მიერ გამოგზავნილ წერილში საუბარია იმაზე, თუ რატომ მოხდა კარბელაშვილის დროებით დაკავება.

***– პროკურატურას მისი იმუნიტეტის მოხსნა ხომ არ მოუთხოვია?***

– როგორც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანმა განმარტა, პროკურატურიდან გამოგზავნილ წერილში არაფერია ნახსენები კარბელაშვილის შესაძლო დაკავების ან იმუნიტეტის მოხსნის შესახებ. ეს მოთხოვნა რომ ყოფილიყო, პარლამენტი რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბებოდა და დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნაზე იმსჯელებდა.

***– თქვენი აზრით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა პარლამენტი?***

– სხვებზე ვერაფერს გეტყვით. მე, პირადად, ორივე ხელით დავუჭერდი კარბელაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარს. დეპუტატის იმუნიტეტი გია ბარამიძესაც უნდა მოვუხსნათ.

***– ცოტა მკაცრი ხომ არ ხართ კოლეგების მიმართ?***

– მკაცრი არა ვარ, მე კანონს ვიცავ. კანონის დაცვაზე ბარამიძესა და კარბელაშვილსაც უნდა ეფიქრათ. დეპუტატი რომ ხარ და იმუნიტეტი გაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კანონი დაარღვიო. კანონის დარღვევაზე პასუხი ყველაზე მკაცრად კანონმდებლებმა უნდა ვაგოთ. პროკურატურამ შეცდომა დაუშვა. ლმობიერება რომ გამოიჩინა, მათ კარბელაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნა უნდა მოეთხოვათ.

***– ასევე კატეგორიული იქნებოდით, კარბელაშვილის ადგილზე „ქართული ოცნების“ დეპუტატი რომ ყოფილიყო?***

– უფრო რადიკალური ვიქნებოდი. გიმეორებთ, კანონის დარღვევა ყველაზე მეტად კანონმდებლებს არ ეპატიებათ. ამის გამართლებას ვინც შეეცდება, ყველა იქნება უზნეო. ამას ნაციონალებიც კი ხვდებიან და რამდენიმე მათგანმა კოლეგას საქციელიც დაუწუნა.

***– პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ის, რაც კარბელაშვილმა მოიმოქმედა, სააკაშვილის დავალება იყო. ამაზე რას იტყვით?***







– არაფერი გამორიცხული არ არის. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ნაციონალები პროვოკაციების დიდოსტატები არიან. ამ ამბავსაც დაჰკრავს პროვოკაციის სურნელი. რადგანაც დაზუსტებული ინფორმაცია არ მაქვს, ვერ ვიტყვი, რომ ეს ვინმეს დავალებით გაკეთდა.

***– პრემიერს ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია?***

– ალბათ, ჰქონდა ინფორმირებული რომ არ ყოფილიყო, ასე არ იტყოდა. არც ღარიბაშვილი ამბობს, რომ სააკაშვილმა კარბელაშვილს ამის გაკეთება დაავალა. მას მხედველობაში ის დავალებები ჰქონდა, რომლებიც უკრაინიდან მოდის.

***– რა დავალებები მოდის უკრაინიდან?***

– ყოფილი პრეზიდენტი მათ პროვოკაციებისკენ მოუწოდებს და სთხოვს, რაც შეიძლება მეტი საჯარო მოხელე წამოაგონ ანკესზე. ასეთი დავალებაა გაცემული და ისინიც კარგად ასრულებენ.

***– თქვენი აზრით, კარბელაშვილი შეგნებულად დაჯდა საჭესთან ნასვამი?***

– საჭესთან შეგნებულად არ დამჯდარა, უბრალოდ, როცა პოლიციამ გააჩერა, მაშინ მოაწყო პროვოკაცია. მას შეეძლო, სხვანაირად მოქცეულიყო და ამ ამბავს ვერავინ გაიგებდა.

***– რას გულისხმობთ სხვანაირად მოქცევაში?***

– უნდა დამორჩილებოდა პოლიციას და მშვიდად აეტანა ის ჯარიმა, რომელსაც მას გამოუწერდნენ. ისე, დეპუტატმა კაცმა კი უნდა იცოდე, რომ საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში დაჯდომა კანონის დარღვევაა.

***– თქვენ საჭესთან ნასვამი არასოდეს დამჯდარხართ?***

– ასეთი ცოდვა მეც მაქვს ჩადენილი და არც უარვყოფ ამას.

***– თქვენ არ დაარღვიეთ კანონი, როცა საჭეს ნასვამი მიუჯექით?***

– დაწესებული ნორმისთვის არ გადამიჭარბებია და, შესაბამისად, არც კანონი დამირღვევია. სხვათა შორის, ჩვენ დოზები ავწიეთ. ნაციონალების დროს ალკოჰოლის სუნზეც კი გაჯარიმებდნენ.

***– თქვენ თუ დაუჯარიმებიხართ სიმთვრალის გამო?***

– იყო ასეთი შემთხვევა, ნახევარი კათხა ლუდის დალევის გამო დამაჯარიმეს.

***– ახლა დაგაჯარიმეს?***

– 2012 წლის არჩევნების წინ. ნახევარი კათხა ლუდი მქონდა დალეული და ამის გამო უზარმაზარი ჯარიმა ამკიდეს. დღეს ნახევარი კათხა ლუდის გამო არავის აღარ აჯარიმებენ. როგორც უკვე გითხარით, დოზები ავწიეთ.

***– რა დონემდე ასწიეთ დოზა?***

– ერთი-ორი ჭიქის დალევა შესაძლებელია. ქართველ კაცს დალევას საერთოდ ვერ აუკრძალავ. დაელია კარბელაშვილსაც 2 ჭიქა და არ მოხდებოდა ასეთი ამბავი. სამწუხაროდ, ჩემი კოლეგა გადამთვრალი იჯდა საჭესთან და, ბოდიშის მოხდის ნაცვლად, პოლიციელს ხელების მანჭვა დაუწყო.

ცოტა ხნის წინ მეც გამაჩერა პატრულმა და დამაჯარიმა, მაგრამ ხელების ქნევა კი არ დამიწყია.

***– რატომ დაგაჯარიმეს?***

– თბილისში სატელევიზიო გადაცემაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. მეჩქარებოდა და მანქანა სწრაფად მომყავდა. გვირაბიდან რომ გამოვედი, რაღაც მანქანას წამოვეწიე. ის ძალიან ნელა მოდიოდა. გადავიდა გვერდზე და გამატარა. წინ პატრულის მანქანა მიდიოდა. მასაც გადავასწარი. არანაირი ხაზი არ გადამიკვეთია, მაგრამ იქ ნიშანი ყოფილა აღმართული, რომ გადასწრება არ შეიძლებოდა. პატრული დამეწია და გამაჩერა. თავიდან გადავირიე, ვუთხარი, რომ არაფერი დამირღვევია, მაგრამ ამიხსნეს, რაშიც იყო საქმე და ვაღიარე ჩემი შეცდომა. ერთ რამეზე კი დამწყდა გული, ნახევარი საათი მოუნდნენ ჯარიმის გამოწერას.

***– რა ჯარიმას წერდნენ ამისთანას, ბატონო ომარ?***

– ჩვეულებრივი ჯარიმა გამოწერეს. უბრალოდ, რომ გაიგეს, დეპუტატი ვიყავი, აქეთ-იქით დაიწყეს გადარეკვა. ამაზე ძალიან გავბრაზდი და ვუთხარი, შვილო, წერა-კითხვა ხომ იცი, კანონი დარღვეული მაქვს და ჯარიმა გამოწერეთ-მეთქი. ასე უნდა მოიქცეს ყველა დეპუტატი. კანონი თუ არ დავიცავით, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

***– კანონის დაცვაზე რადგან ვსაუბრობთ, კანონიერად მოიქცა პოლიცია, გია ბარამიძე განყოფილებაში რომ არ შეუშვა?***

– დეპუტატს პოლიციის განყოფილებაში შესვლის უფლება კანონით მინიჭებული აქვს.

***– გამოდის, ბარამიძის მიმართაც დარღვეულა კანონი.***

– არ დარღვეულა. ეს უკანასკნელი კი არ მივიდა, არამედ ლანძღვაგინებით მიიჭრა და პოლიციას ძალლები უწოდა. არ დაგავიწყდეთ, ეს ადამიანი იყო წლების წინ შს მინისტრი. მას ორმაგად უნდა მოვთხოვოთ პასუხი პოლიციის შეურაცხყოფისთვის.

***– რომ შეეშვათ, რა მოხდებოდა?***

– კარგი არაფერი. ცხადი იყო, რომ ბარამიძე იქ დებოშის მოსაწყობად მივიდა. ამიტომაც არ შეუშვეს.

პროკურატურა მათთვის იმუნიტეტის მოხსნას არ ითხოვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ საქციელზე პარლამენტი არ იმსჯელებს. ეს საკითხი პირველივე პლენარულ სხდომაზე დადგება. თავის სათქმელს იტყვის საპროცედურო საკითხთა და წესების დაცვის საპარლამენტო კომიტეტიც. კანონს ყველამ უნდა ვცეთ პატივი. კარგი იქნება, თუ ბარამიძე და კარბელაშვილი სამაგალითოდ დაისჯებიან. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ისინი ნაციონალები არიან და ამ პარტიას ვერ ვიტან. ასეთი რადიკალური იმიტომ ვარ, რომ მინდა, საქართველო სამართლებრივი სახელმწიფო იყოს, სადაც კანონის წინაშე ყველა თანაბარი ვიქნებით.

# რუსეთი აფხაზეთის დაფინანსებაზე უარს ამბობს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა უარესდება. მოსკოვს, ეტყობა, მოსწყინდა აფხაზების შენახვა და მათი დაფინანსებაც მკვეთრად შემცირდა. დაპირებული 3,7 მილიარდი რუბლის ნაცვლად სოხუმი 127 მილიონ რუბლს მიიღებს.**

რუსული და აფხაზური მედიის ინფორმაციით, რუსეთმა 2015 წელს ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დაფინანსება აფხაზეთის რესპუბლიკას, ფაქტობრივად, შეუწყვიტა.

როგორც რუსულ მედიას აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროდან აუწყეს,



მოსკოვის მიერ ეკონომიკური წინსვლისთვის დაპირებული 3,7 მილიარდიდან სოხუმმა ამ დრომდე მხოლოდ 127 მილიონი რუბლი მიიღო. არადა, ეს 3 მილიარდი აფხაზეთის ხელისუფლებას იმ კრედიტის დასაფარად უნდა გამოეყენებინა, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ რუსეთისთვის აიღო.

აფხაზური გამოცემის „ნუჟნაია გაზეტას“ ცნობით, აფხაზეთის ხელისუფლებას საკუთარი ფულით უწევს, დაფაროს სახელმწიფო კრედიტი, რომლის აღებაც 2010 წელს რკინიგზის რეკონსტრუქციის გამო მოხდა.

– თავად რკინიგზის რეკონსტრუქციის საჭიროება კი რუსეთში ინერტული მასალების გასატანად მოხდა, – წერს აფხაზური პრესა.

ამავე გამოცემის ცნობით, აფხაზეთის რესპუბლიკამ 2010-2014 წლების პერიოდში რუსეთის ბაზარზე გაიტანა 3 მილიონ ტონაზე მეტი ინერტული მასალა, რკინიგზის ექსპლუატაციით შემოსულმა თანხებმა კი მხოლოდ 31 მილიონი რუბლი შეადგინა.

მოსკოვის ამგვარი ქმედებით აფხაზეთში აშკარად იმედგაცრუებულნი არიან. ეს იმედგაცრუება კი ნელ-ნელა ანტირუსულ განწყობაში გადადის.

ცოტა ხნის წინ აფხაზეთის პრემიერს დეპუტატებთან საკმაოდ ხმაურიანი შეხვედრა ჰქონდა. მოსკოვი სოხუმისგან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვს, რაზეც დეპუტატები არ თანხმდებიან.

მათი განცხადებით, ამ ხელშეკრულების გაფორმება აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე უარის თქმას ნიშნავს.

ურჩი დეპუტატები ვერც იმით დაიყოლიეს, რომ სოხუმი დაფინანსებას რუსეთიდან იღებდა.

დეპუტატების ნაწილი ჯერ კიდევ მაშინ ჩიოდა, რომ მოსკოვიდან ფული აგვიანებდა.

რამდენიმე აფხაზმა კანონმდებელმა ხელისუფლებას აფხაზეთის ბიუჯეტის შესავსებად ახალი იდეა შესთავაზა. რამდენიმე დეპუტატი ფიქრობს, რომ ცუდი არ იქნება, თუ მოსკოვს აფხაზეთში სამხედრო ბაზის არენდისთვის ფულს გადაახდევინებენ.

არადა, რუსეთთან სამეკავშირეო შეთანხმებას რომ აფორმებდნენ, აფხაზებს დიდი იმედი ჰქონდათ. ამ შეთანხმებას ხელი გასული წლის ნოემბერში მოეწერა.

შეთანხმების გაფორმების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მოსკოვი აფხაზეთის მთავრობას 2015 წელს 5 მილიარდ რუბლს გამოუყოფდა.

როგორც პუტინმა აღნიშნა, რუსეთს აფხაზეთის მიმართ გრძელვადიანი მიზნები აქვს დასახული, რაც დიდი დაფინანსებითაა გამყარებული.

– დასახულია ახალი მიზნები და გრძელვადიანი ამოცანები, რაც გამყარებული იქნება სერიოზული დაფინანსებით. ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად რუსეთი აფხაზეთს 2015 წელს 5 მილიარდ რუბლს გამოუყოფს და, წინა წლებთან შედარებით, დაფინანსებას ორჯერ გაუზრდის, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ცნობისათვის, 2009-2013 წლებში რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში აფხაზეთის დასახმარებლად 11 მილიარდი რუბლი იყო გამოყოფილი.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რას ელის საქართველო ნატოს მინისტერიალისგან?

მარიამ მჭედლიშვილი



**რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა მწვავდება. ამის თაობაზე ბოლო დროს ხშირად საუბრობენ. მაგალითად, ექვსმა ბრიტანელმა ექსპერტმა გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით „რუსეთის გამოწვევა“. მათი შეფასებით, უკრაინაში კონფლიქტის გამო ევროპასა და რუსეთს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბება.**

ავტორების დასკვნით, ევროპის სახელმწიფოებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მოსკოვიდან მომავალი საფრთხე. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ევროპის ქვეყნებმა სათანადო რეაგირება ვერ მოახდინეს რუსეთის მოქმედებებზე უკრაინაში. მოსალოდნელია, რომ უკრაინის კონფლიქტი გამოიწვევს პირდაპირ შეტაკებას რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ უკრაინის კონფლიქტმა მსოფლიო გამოაფხიზლა, რაც ვერ მოხერხდა საქართველოს ოკუპაციის დროს.

– თუ საქართველოს ოკუპაცია საკმარისი გაფრთხილება არ იყო მსოფლიოსათვის, ეს გააკეთა უკრაინამ. რუსეთმა კვლავ გააჩაღა ომი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ახლა ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რას შეიძლება ელოდო რუსეთისაგან, როგორც „პარტნიორისაგან“ – განუცხადა თინა ხიდაშელმა ჩეხურ გაზეთ „ლიდოვკის“.

მისი თქმით, ყოველთვის, როცა თავს გამარჯვებულად თვლის, რუსეთი გეგმავს მომდევნო თავდასხმას. რუსეთი ჯერ კიდევ არის სახელმწიფო, რომელიც ტანკებით იჭრება დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, გაქვთ თუ არა იმედი, რომ მისი დახმარებით გადაწყვეტთ აფხაზეთისა და „სამხრეთი ოსეთის“ პრობლემებს? გაზეთის ამ შეკითხვას მინისტრმა ასე უპასუხა:

– ნატოს წევრობისაგან დამოუკიდებლად საქართველოს აქვს თავისი სტრატეგია ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მას ვერ გავუზიარებთ.

თინა ხიდაშელს მოჰყავს გერმანიის მაგალითი. გერმანია ნატოს წევრი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიის ნახევარი საბჭოთა კავშირს ჰქონდა ოკუპირებული.

რა მოჰყვება საქართველოს ნატოში წევრობას?

თინა ხიდაშელი:

– ხშირად მეკითხებიან ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლზე და მინიშნებებს აკეთებენ შესაძლო აპოკალიფსზე. რას გააკეთებს ნატო, თუ რუსეთი დღეს დაესხმება თავს საქართველოს? შესაძლოა, მითხრათ, ჩვენ თქვენს ინტერესებში არ შევდივართ, იმიტომ რომ ნატო არა ვართ და ბედის ანაბარა მიგვატოვებთ. არა მგონია, ასე მოხდეს. ევროპული დემოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში წარმომიდგინეს, ასეთი არ არის.

ნატოს მორიგი სამიტი ვარშავაში ჩატარდება. საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი, თავდაცვის მინისტრის თქმით, დეკემბერში ნატოს საგარეო მინისტრების შეკრებაზე გადაწყდება:

– მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საკვანძო სხდომა. სწორედ იქ მიიღება ძირითადი გადაწყვეტილებები არა მარტო საქართველოსთან, არამედ, ჩერნოგორიასთან მიმართებითაც. თუ ჩერნოგორია, როგორც კანდიდატი, მიაღწევს წარმატებას, ეს იქნება იმის მანიშნებელი, რომ ღია კარის პოლიტიკა მუშაობს. მანამდე საქართველოს მოუწევს ერთთვიანი ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოება.

უცხოური პრესა პანკისის ხეობაში ისლამური ექსტრემიზმის თემითაც დაინტერესდა. თინა ხიდაშელის სიტყვებით, ეს ახალი პრობლემა არ არის და მას მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო ვერ მოუვლის:

– ისლამური ექსტრემიზმის პრობლემა პანკისში ახალი არ არის – საქართველო მას, მინიმუმ, 15 წელიწადია, იცნობს. გარდა ამისა, 10 წლის განმავლობაში გვყავდა მთავრობა, რომელიც არაფერს აკეთებდა მის გადასაჭრელად. ორ წელიწადში ჩვენ ყველაფერს ვერ გავაკეთებთ. თავდაცვის სამინისტრო არ არის ის უწყება, რომელიც იღებს მთელ პასუხისმგებლობას. ამით უნდა დაკავდნენ განათლებისა და შინაგან საქმეთა უწყებები, თუმცა, ჩვენ მზად ვართ, მათ გავუზიაროთ გამოცდილება და რესურსები. პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასევე მესაზღვრეებს. ისინი, უმეტესად, კარგად ასრულებენ მოვალეობას. მესაზღვრეებმა აღკვეთეს საზღვრის გადაკვეთის ფაქტები. მთავარია პროფილაქტიკური მუშაობა. პანკისის მცხოვრებლებისათვის შესაქმნელია სპეციალური პროგრამა. აუცილებელია მათი განათლებისა და დასაქმების უზრუნველყოფა. ნუ დაგვავიწყდება – საქართველოს, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს, ბოლომდე არ გადაუწყვეტია საზღვრების პრობლემა. გარდა ამისა, საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც საომრად მიდიან ახლო აღმოსავლეთში.




# ხალვაშის ადვოკატი ეუთო-ს წარმომადგენლებს სასამართლოზე დამკვირვებლებად იწვევს

ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია ეუთო-ს წარმომადგენლებს სასამართლოზე დამკვირვებლებად იწვევს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ აცნობა, მიმდინარე წლის 4 აგვისტოს, ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი 2“-ის ახლანდელი მეპატრონეების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, „რუსთავი 2“-ის პარტნიორთა წილების და კომპანიის ქონების დაყადაღება მოითხოვა.

მისივე ინფორმაციით, გუშინ გავრცელდა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენლის, დუნია მიატოვიჩის განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს „რუსთავი 2“-ის თავისუფლად მუშაობაზე. ეს გადაწყვეტილება არის არაპროპორციული, გადაჭარბებული და, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მედია-პლურალიზმს საქართველოში“. განცხადებაში ასევე მითითებული იყო, რომ ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა მოითხოვა ტელეკომპანიის საბანკო ანგარიშების დაყადაღება, რაც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.

– აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს, კიდევ ერთხელ ცალსახად განვმარტოთ, რომ ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში მიზნად არ ისახავს ტელევიზიისა და მისი ჟურნალისტების საქმიანობის შეფერხებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეუთო-ს წარმომადგენელს აშკარად არასწორი ინფორმაცია მიეწოდა, ტელეკომპანიის საბანკო ანგარიშების დაყადაღების მოთხოვნასთან დაკავშირებით. როგორც არაერთხელ განვაცხადეთ, „რუსთავი 2“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის მოთხოვნა თავად ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა მოხსნა და, შესაბამისად, სასამართლოს ამ საკითხზე არ უმსჯელია. ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილება სწორედ იმ გარემოებით იყო მოტივირებული, რომ მას არ სურს, ტელევიზიის ფუნქციონირებას ხელი შეეშალოს, – აღნიშნავს ქიბარ ხალვაშის ადვოკატი.



რაც შეეხება სხვა ქონების გასხვისების აკრძალვას, ადვოკატის განმარტებით, ეს არის აუცილებელი ღონისძიება იმისათვის, რომ გამოირიცხოს ტელეკომპანიის მესვეურთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედებები და არ მოხდეს „რუსთავი 2“-ის ქონების მესამე პირებზე გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა, რაც, მისივე შეფასებით, გააუფასურებს სადავო წილების ღირებულებას.

პაატა სალია:

– ჩვენ თავიდანვე ვაცნობიერებდით, რომ შესაძლებელი იყო, ტელეკომპანიის ნომინალური მეწილეების წინააღმდეგ სასამართლო დავის დაწყება კონკრეტული დაინტერესებული პირების თუ პოლიტიკური ძალების მიერ ინტერპრეტირებული ყოფილიყო, როგორც თავისუფალ მედიაზე ზეწოლა. ამიტომაც ქიბარ ხალვაშმა თავის განცხადებაში ცალსახად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ ბიზნესმენი არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად ტელეკომპანიის დასუსტებასა და ჟურნალისტების მუშაობაში ხელის შეშლას. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდეს ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების ზედამხედველობისა და სრული ტრანსპარენტულობის პირობებში.

მოვუწოდებთ ეუთო-ს ხელმძღვანელობას, მოავლინოს საკუთარი დამკვირვებლები სასამართლო პროცესის მონიტორინგისათვის, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს მაქსიმალურ გამჭვირვალობას და გამორიცხავს ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას.

ინტერპრესნიუსი

# ახმეტის გამგებელი გათავისუფლებულ თანამშრომელს ხუთი თვე ხელფასს აძლევდა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბექა ბაიდაური გამგეობიდან გათავისუფლებულ თანამშრომელს ხუთი თვის განმავლობაში ხელფასს ურიცხავდა, თვეში 970 ლარის ოდენობით. გამგებლის ბრძანებით, გათავისუფლებულ თანამშრომელს სააღდგომო პრემიაც მიეცა.**



მას შემდეგ, რაც ამ ფაქტის შესახებ გამჟღავნდა ანუ 15 ივლისს გამგებელმა გამოსცა ბრძანება, რომელიც 2015 წლის 2 თებერვლით დაათარიღა, სარეგისტრაციო ნომერიც შესაბამისი მიანიჭა (73) და საკანცელარიო ჟურნალში წინასწარ სპეციალურად გამოტოვებულ ადგილას „ჩაამატეს“.

დავით ახალკაციშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე ოყიოს თემში. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, რწმუნებულის თანამდებობის ტრანსფორმაციის გამო, ის გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა იმავე სოფელში. გამგებლის წარმომადგენლის ხელფასი 970 ლარია.

2014 წლის დეკემბერში გამგეობაში ჩატარებული კონკურსის დროს დავით ახალკაციშვილმა პირველივე ეტაპი (ტესტირება) ვერ გადალახა. ამის გამო 2015 წლის 2 თებერვალს ოყიოში გამგებლის წარმომადგენლად გამგებელმა ბექა ბაიდაურმა სხვა პირი დანიშნა. დავით ახალკაციშვილის სამსახურიდან გათავისუფლებაზე კი გამგებელს შესაბამისი ბრძანება არ გამოუცია.

ამის შედეგად გამგებლის წარმომადგენლის ერთ საშტატო ერთეულზე ფორმალურად ერთდროულად ორი პირი აღმოჩნდა.

დავით ახალკაციშვილს „გათავისუფლებიდან“ ხუთი თვის განმავლობაში, თებერვლიდან ივნისის ჩათვლით, საბანკო ანგარიშზე ხელფასი სრულად ერიცხებოდა. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 6 აპრილის №444 ბრძანებით, მას სააღდგომო პრემიაც მიეცა. ამავე პერიოდში ხელფასი და პრემია ერიცხებოდა გამგებლის წარმომადგენლად ლეგიტიმურად დანიშნულ პირ სოსო ჯავახიშვილსაც.

– აღნიშნული ფაქტის გამჟღავნებისთანავე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაშვებული სამართალდარღვევის გამოსწორებაზე ფიქრი დაიწყეს და გამოსავალიც ერთობ მარტივი მოიფიქრეს – 2 თებერვლის თარიღით შეადგინეს ბრძანება დავით ახალკაციშვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, სარეგისტრაციო ნომერიც შესაბამისი მიანიჭეს (73) და საკანცელარიო ჟურნალში წინასწარ სპეციალურად გამოტოვებულ ადგილას „ჩაამატეს, – ამბობს იურისტი გელა შაშიაშვილი.

მისივე თქმით, რეგისტრაციის ჟურნალში „ყოველი შემთხვევისთვის“ ცარიელი ადგილების „შენახვის“ მანკიერი პრაქტიკა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ინტენსიურად გამოიყენებოდა ელექტრონული საქმისწარმოების შემოღებამდე.

– დიდი ალბათობით, ამ ქმედების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საკუთარი დაუდევრობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხელეებისათვის გადაბრალების ინსცენირება იყო, რომლებიც შესაბამისი ბრძანების არარსებობის გამო კვლავ ურიცხავდნენ ხელფასს დავით ახალკაციშვილს შესაბამის საბანკო ანგარიშზე. თუმცა, ეს მცდელობა მთლად წარმატებული არ გამოდგა, ვინაიდან ამ სამსახურის მოხელეებმა თავი დაიზღვიეს და ბრძანებაზე რეალური ჩაბარების თარიღი – „15 ივლისი“ დააფიქსირეს, – ამბობს გელა შაშიაშვილი.

იურისტის შეფასებით, სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები (სამსახურებრივი გულგრილობა).

დავით ახალკაციშვილი უკანონოდ დარიცხული ხელფასისა და პრემიის ბიუჯეტში დაბრუნებაზე უარს აცხადებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

# შს მინისტრმა დაჭრილი პოლიციელი მოინახულა

შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა 10 აგვისტოს ახმეტის რაიონში ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას მოძალადის მიერ დაჭრილი პოლიციელი ელიზბარ პატარკაცაშვილი მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში მოინახულა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, მინისტრი შეხვდა და ესაუბრა დაჭრილი პოლიციელის ოჯახის წევრებს, გაამხნევა ისინი და სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

მათივე ინფორმაციით, ელიზბარ პატარკაცაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა მისი გადარჩენისთვის ექიმები და ჯანდაცვის სამინისტრო ყველაფერს აკეთებენ.

ინტერპრესნიუსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობა ხარშილაძე: „ზურაბ ჟვანიას ორიენტაციის შესახებ დიდი ხანია ვიცოდი და მისგან შემოთავაზებაც მქონდა“



შორენა მარსაგიშვილი



**ზურაბ ჟვანიას საქმეზე საზოგადოებას უამრავი ვერსია აქვს მოსმენილი, თუმცა იმან, რაც გუშინ, 11 აგვისტოს ითქვა, საზოგადოება შოკში ჩააგდო. თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ ჟვანიას პირადი დაცვის წევრი კობა ხარშილაძე დაიკითხა.**

ხარშილაძე რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა კითხვებს. მან ყოფილ პრემიერთან ურთიერთობის დეტალებზე ისაუბრა და 2005 წლის 3 თებერვლის ტრაგიკული ღამეც გაიხსენა.

კობა ხარშილაძის განცხადებით, მან ზურაბ ჟვანიას ორიენტაციის შესახებ ყველაფერი იცოდა, რადგან, როგორც თავად განაცხადა, ექსპრემიერმა ურთიერთობა მასაც შესთავაზა.

– ზურას ორიენტაციის შესახებ დიდი ხანია ვიცოდი, რა არის დასამალი, შემოთავაზებაც მქონდა, – განაცხადა დაკითხვისას კობა ხარშილაძემ.

მის ამ განცხადებას სასამართლოს დარბაზში ხმაური მოჰყვა. ყველაზე მეტად ზურაბ ჟვანიას მეგობარი და თანამებრძოლი ხათუნა ხოფერია აღშფოთდა. ხოფერია დღესაც ამტკიცებს, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ჟვანია მოკლეს.

აღშფოთებული ხოფერია ხარშილაძეს სხვადასხვა სიტყვით ამკობდა. დარბაზში ვითარება დაიძაბა. საქმეში მოსამართლე ჩაერია და იქ დამსწრეებს პროცესის დახურვით დაემუქრა.

როცა დარბაზი დაშოშმინდა, ხარშილაძეს ადვოკატმა ჰკითხა, შეთავაზების შემდეგ რატომ არ დატოვა სამსახური.

იქ დარჩენა პირადმა მცველმა იმით ახსნა, რომ ზურაბ ჟვანიას მასზე დიდი ამაგი ჰქონდა.

– მაშინ 18 წლის გლდანელი ბიჭი ვიყავი. ზურამ მითხრა, იმედია, არ შეგაშინე და სისულელეს არ იზამო. ორი-სამი დღის შემდეგ კვლავ მკითხა, შევიცვალე თუ არა აზრი და ვუთხარი, რომ არ შემიცვლია. ამ პერიოდში პოლიციის აკადემიაში ჩაბარება მინდოდა, თუმცა ვერ მოვახერხე და შემდეგ ზურაბ ჟვანიამ აკადემიის ხელმძღვანელობასთან დარეკა, რის შემდეგაც მე პოლიციის აკადემიაში შევძელი ჩაბარება. სწორედ აქედან გამომდინარე, გარკვეულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და სამსახურიდან ვერ წამოვედი, – განაცხადა ხარშილაძემ.

სასამართლოზე მან იმაზეც ისაუბრა თუ როგორ აიძულებდნენ ცრუ ჩვენების მიცემას. ხარშილაძე ამბობს, რომ მას სთხოვდნენ, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

– როგორ შეიძლებოდა, ხელი ვინმესკენ გამეშვირა. უნდოდათ მიშასთვის გადაბრალება, თუმცა ხელს ვერ გავიშვერდი ვინმესკენ, მაშინ როდესაც არაფერი ხდება, – განაცხადა ჟვანიას პირადმა მცველმა.

ჟვანიას დაცვის წევრებს ხშირად საყვედურობენ, რომ მათ პრემიერი კონსპირაციულ ბინაში მარტო დატოვეს.

ხარშილაძე ამბობს, რომ პრემიერი ასეთ შეხვედრებზე ხშირად დადიოდა. მისივე თქმით, დაცვის წარმომადგენლები კონსპირაციული ბინის სადარბაზოსთან არ ჩერდებოდნენ, რათა მეზობლებს რაიმე ეჭვი არ გასჩენოდათ.

დაკითხვისას მან 3 თებერვალიც გაიხსენა და მოყვა, როგორ დაურეკა დასახმარებლად გია ბარამიძეს.

– 3 თებერვალს, გამთენიისას, ოთხის ნახევარზე დამირეკა ძაძამიამ და მითხრა, მგონი, უბედურებაა, ზურას ვერ ვაგონებო. წავედი ამ ბინაში, ფანჯარაზე ავედი და სწორედ ფანჯრიდან შევედი ბინაში. დავინახე, ზურა იჯდა სავარძელზე და მარცხნივ ჰქონდა თავი გადაწეული. დავუძახე რამდენჯერმე, არ მიპასუხა, შემდეგ ჟალუზი მოვხსენი, შევედი. ზურა იატაკზე დავაწვინე, პულსი გავუსინჯე, ხელოვნური სუნთქვაც ჩავუტარე, თუმცა რეაქცია არ ჰქონია. უსუპოვთანაც მივედი, ისიც გარდაცვლილი იყო, – აღნიშნა ხარშილაძემ.

მისი თქმით, ჟვანიაც და რაულ უსუპოვიც შიშვლები იყვნენ.

– ორივე შიშველ მდგომარეობაში დამხვდა. ამის შემდეგ გიორგი ბარამიძეს დავურეკე. ისე მოვიქეცი, როგორც ყველა მოიქცეოდა. ამას განსაკუთრებული ერთგულება არ სჭირდება. დავურეკე ბარამიძეს, რომელსაც ეძინა. თავიდან არ დამიჯერა, რაც ვუთხარი. შემდეგ მითხრა, პრეზიდენტმა უნდა იცოდეს ამის შესახებო. დავუკავშირდი პრეზიდენტს და ვუთხარი, რაც მოხდა. იქიდან იყო სიჩუმე, შემდეგ კი მითხრა, რომ მერაბიშვილი მიხედავდა ამ საქმეს, – ამბობს გარდაცვლილი პრემიერის მცველი.

ჟვანიას ორიენტაციასთან დაკავშირებით გაკეთებულმა განცხადებამ საქმის პროკურორი ლევან ბაჩიაშვილი დააეჭვა.

პროკურორი ეჭვობს, რომ ამ თემის წამოწევით ექსპრემიერის გარდაცვალების თემის გადაფარვა ხდება.

ჟვანიას ორიენტაციაზე გაკეთებული განცხადებით, მისი გარდაცვალების გადაფარვა ხომ არ გინდოდათ, – ამის შესახებ ხარშილაძისა და ძაძამიას წინააღმდეგ საქმის პროკურორმა ლევან ბაჩიაშვილმა ბრალდებულ ხარშილაძეს დაკითხვისას ჰკითხა.

პროკურორი ასევე დაინტერესდა, რატომ აკეთებს ხარშილაძე მსგავს განცხადებებს, როდესაც ზურაბ ჟვანიას თავის მეგობრად მოიხსენიებს.

ლევან ბაჩიაშვილს იმის გარკვევაც უნდოდა, ვინმე ხომ არ იყო ინფორმირებული ჟვანიას შეთავაზების შესახებ.

– ეს პროკურორებისა და ნაფიცი მსაჯულების გადასაწყვეტია, დაიჯერებენ თუ არა. ამის შესახებ მე ჩემს ნათესავს მოვუყევი, რომელიც გარდაცვლილია, – ამბობს ხარშილაძე.

ზურაბ ჟვანიას კი ის დღემდე თავის მეგობრად თვლის.

– ზურა ჩემი მეგობარია, იყო და იქნება, რაც არ უნდა თქვათ. ჩემი პატარა რომ გაიზრდება, მასაც ეცოდინება, რომ მე ამ ადამიანთან ვმეგობრობდი, – განაცხადა პირადმა მცველმა.

# რა შემთხვევაში აქვს ციხის ადმინისტრაციას პატიმრების გაშიშვლების უფლება

ნათია ხურცილავა



## ლია მუხაშავრია: „პატიმრებს საკუთარი სხეულით აკრძალული ნივთები გადააქვთ“

**ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საპატიმრო ადგილებში დღეს არსებულ მდგომარეობაზე, პატიმართა უფლებებზე საუბრობს:**

***– ქალბატონო ლია, ხელისუფლების მხრიდან არსებობს თუ არა დღეს პოლიტიკური ნება, რომ დახურულ დაწესებულებებში, ციხეებში ადამიანის უფლებები დაცული იყოს?***

– ხელისუფლები ცვლილებასთან ერთად, დახურულ დაწესებულებებში, საპატიმრო ადგილებში, ადამიანის უფლებების დაცვის ტაქტიკა, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ხელისუფლების ნებაა, რომ დარღვევები სისტემური ხასიათის არ იყოს. ყველგან, ყველა ქვეყანაში ხდება დარღვევები, მთავარია, თუ მოხდება დარღვევა, მასზე უნდა იყოს სწორი რეაგირება. ამიტომ ამ მიმართულებით, ცხადია, მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ცალკეული ფაქტები არ ხდება ან არ მოხდება. დახურული დაწესებულება – ეს არის განსხვავებული სპეციფიკის დაწესებულება. ამიტომ იქ ყოველთვის არის საფრთხე, რომ ადამიანის უფლებები დაირღვეს ან სათანადოდ ვერ იყოს დაცული, მაგრამ მთავარია სახელმწიფო ნება, რომელიც დღეს არსებობს. რომ ტერორი, დაშინება, არაადამიანური მოპყრობა სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება მიზანმიმართული ქმედება დახურულ დაწესებულებაში მყოფი ადამიანების მიმართ, რომ არ იქნება მოთხოვნა, ყველა უნდა დაექვემდებაროს არაადამიანურ მოპყრობას, დატერორებას, რომ არც კი გაიფიქროს ადამიანმა წინააღმდეგობის გაწევა და სრულად დაემორჩილოს ადმინისტრაციის უკანონო მოთხოვნებსა და უკანონო პირობებს. დღეს, სამწუხაროდ, რამდენიმე ფაქტი მაინც გამოვლინდა.

როდესაც მსგავსი ფაქტების გამოვლენა ხდება ე.ი. სისტემა ჯანსაღია და ის საკუთარი მდგომარეობის შეცვლას ცდილობს. როდესაც სისტემა არ მალავს და არ ჩქმალავს საკუთარ მანკიერებას, ეს სიჯანსაღის პირველი ნიშანია. ამიტომ, მე ვფიქრობ, ეს გაცილებით განსხვავდება იმ მდგომარეობისგან, რომელიც გვქონდა გასულ წლებში, 2012 წლამდე.

***– რამდენიმე წელია, რაც არასამთავრობო სექტორი ციხეებში შესვლასა და საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელებას ითხოვს. არსებობს მზაობა საიმისოდ, რომ სპეციალისტები შევიდნენ ციხეებში?***

– სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან როდესაც იყო არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა, ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა გაიმართა. მინისტრს არ აქვს წინააღმდეგობა, რომ ციხეებში შევიდნენ საზოგადოებრივი მონიტორინგის განსახორციელებლად, მაგრამ მინისტრს აქვს გარკვეული მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს პირობებისა და გარკვეული კრიტერიუმების მკაცრად ჩამოყალიბებას, დადგენასა და შეთანხმებას სამინისტროსა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ამ მონიტორინგს განახორციელებენ, რაც სრულიად შესაძლებელი და დასაშვები გახლავთ, რადგან ასეთია მსოფლიო პრაქტიკა.

***– რა კრიტერიუმებზეა საუბარი, კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ?***

– დახურული ტიპის დაწესებულებაში პატიმართან ურთიერთობა გარკვეულ ცოდნას, გარკვეულ მომზადებასა და გარკვეული ეთიკის ნორმების დაცვას გულისხმობს. ამიტომ, ვისაც ამ ურთიერთობის პროფესიული ან ცხოვრებისეული გამოცდილება არ აქვს, სერიოზულად უნდა მოემზადოს, გარკვეული მოთხოვნები დააკმაყოფილოს და მერე იქნეს დაშვებული, რათა მონიტორინგი განახორციელოს. გარდა ამისა მონიტორინგი არ არის ციხეში შესვლა და უბრალოდ ვინმეს მონახულება. მონიტორინგი არის გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შემოწმება, როგორია პატიმართა მდგომარეობა, ასევე როგორია თვითონ დაწესებულების მდგომარეობა, როგორია დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. ასევე საჭიროა პატიმართან მოპყრობისა და ურთიერთობის წესების ცოდნა. ამიტომ ვამბობ, რომ გარკვეული მომზადებაა საჭირო, რათა მონიტორინგის მიზნით ციხეში შეხვიდე.

***– ქალბატონო ლია, თუ გაქვთ ინფორმაცია, მაგალითად, ახლა მთავარი პრობლემა რა არის ციხეებში?***

– მაგალითად, ახლა არის აუტანელი სიცხე, მაღალი ტემპერატურა. ადმინისტრაციამ სულაც რომ არ დაარღვიოს არანაირი ნორმა, მაგრამ, თუ პატიმრობაში მყოფ ადამიანს არ ექნება ვენტილატორი, სიგრილე, საკმარისი ცივი წყალი, რომ პირადი ჰიგიენა დაიცვას შესაბამისად, თუ ეს დიდხანს გაგრძელდება და ადმინისტრაცია არანაირად არ ეცდება, არაფერს იღონებს ამის აღმოსაფხვრელად, ეს შეიძლება შეფასდეს არაადამიანურ მოპყრობად. შეიძლება ობიექტურმა გარემოებამაც, ობიექტურმა პირობებმაც გამოიწვიოს არაადამიანური მოპყრობა.

მინისტრთან შეხვედრაზე ამ საკითხზეც იყო საუბარი. მინისტრმა გვითხრა, თუ ვინმეს გაქვთ სახლებში ზედმეტი ვენტილატორები, მოგვაწოდეთ, რადგან არ გვაქვს საკმარისი გამაგრილებელი საშუალებებიო. ბუნებრივია, კონდიცირების სისტემა ციხის ყველა საკანში ვერ იქნება.

მინდა, ამ შემთხვევით ვისარგებლო და ვთხოვო ჩვენს მოსახლეობას, ვისაც აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს ვენტილატორი ან უკვე ნახმარი გამაგრილებელი საშუალებები აქვთ სახლში, მიაწოდონ სასჯელაღსრულების სამინისტროს, რათა სამინისტრომ გადაანაწილოს ციხეებში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და ისინი თავიანთი მსჯავრის მოხდის შემდეგ კვლავ საზოგადოებას უნდა დაუბრუნდნენ. შეიძლება, ვილაცამ იფიქროს, ამ პატიმრებს ხომ ჰყავთ ოჯახები, მათ შეუძინონ, კი, ჰყავთ ოჯახის წევრები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, რომ შეუძინონ. ეს არის ის საკითხები, რომლებიც შეიძლება პრობლემას არ წარმოადგენდეს, მაგრამ საპატიმრო დაწესებულებაში შეიძლება სერიოზული დარტყმის საბაბი გახდეს.

***– როდესაც დაწესებულებაში შედიან პატიმრები, მათ შორის ქალი პატიმრებიც, შემოწმების მიზნით აშიშვლებენ. შეიძლება, ეს იყოს აღქმული, როგორც არაადამიანური მოპყრობა? როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია, რომ არ დაირღვეს მათი უფლებები? საუბარი იყო ხმოვან დეტექტორებზე და ა.შ.***

– შემიძლია ერთი მაგალითი მოგიყვანოთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდან: „კუდვა პოლონეთის წინააღმდეგ“. სწორედ აღნიშნული იყო სადავო საკითხი. პატიმარი სისტემატურად იყო გაშიშვლებული და მას არ უხსნიდნენ, რატომ იყო ყოველთვის ის გაშიშვლების მიზეზი. ცხადია, ეს სასამართლო პროცესი პოლონეთის სახელმწიფომ წააგო. თუ გაშიშვლება არ არის ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, აუცილებლობით განპირობებული, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, რასაკვირველია, პატიმრის გაშიშვლება დაუშვებელია, მაგრამ, როდესაც იცი, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, მათ შორის ჩვენთანაც, რომ ადამიანებს საკუთარი სხეულით ციხეში შეაქვთ აკრძალული ნივთები, მათ შორის ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერებები, მობილური ტელეფონი, სხვა აკრძალული ნივთები პატიმრებს ერთი ადგილიდან მეორეში გადააქვთ, მაშინ ადმინისტრაცია მიმართავს ამ მეთოდს. როდესაც საფუძველი რეალურია, ეჭვი დასაბუთებულია, ადმინისტრაციას აქვს უფლება, ეს პატიმრები გააშიშვლოს და დეტალურად შეამოწმოს, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და ეს არ უნდა იქცეს აკვიატებად კონკრეტული პირის მიმართ.

თუკი ადმინისტრაციას ექნება რეალური საფუძველი და ეს არ იქნება ვილაცის ახირება ან ვილაცის მიკერძოება, რომ ადამიანი დაამციროს, ასეთი ზომის გამოყენება დასაშვებია, მაგრამ ყოველი შემთხვევა ძალიან დეტალურად უნდა იქნეს განხილული. როგორც მინისტრმა გვითხრა, ქალების შემთხვევაში მსგავსი შემოწმება დახურულ ოთახში ხდება სხვა პატიმრის გარეშე და ამ შემოწმებას იმავე სქესის წარმომადგენელი ადმინისტრაციის თანამშრომელი ატარებს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# 10 უმდიდრესი ქართველი პოლიტიკოსი



## ძნელია იმის თქმა, პოლიტიკოსები უფრო ხშირად მიდიან ბიზნესში თუ ბიზნესმენები – პოლიტიკაში. ფაქტია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს შორის ბევრი მილიონერია

დავით ბეჟუაშვილი უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია. თეთრიწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვდა, მაგრამ არჩევნების შემდეგ პარტია დატოვა. მისი ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ის 1994 წლიდან ოფშორულ ზონაში, მარშალის კუნძულებსა და კვიპროსზე რეგისტრირებული ორი კომპანიის პარტნიორია, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს ფლობს. ინდუსტრიული ჯგუფის საკუთრებაა 8 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგური, შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ტყიბულში ძიძიგურისა და მინდელის სახელობის ქვანახშირის საბადოებს ფლობს, შპს „ტიფლის სითი“, ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა, „ქართული ლუდის კომპანია“ და „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“. ჰოლდინგის მონაცემებით, ენერგოკომპანიების გამოკლებით, სხვა შვილობილი კომპანიების შემოსავალმა მხოლოდ 2011 წელს 52 მილიონი ლარი შეადგინა, აქტივებმა კი – 105 მილიონი ლარი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დავით ბეჟუაშვილის ქონება 1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

დამოუკიდებელი დეპუტატის, დმანისის მაჟორიტარ კახაბერ ოქრიაშვილის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მის საკუთრებაშია არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ორი ბინა დმანისში, სახლი და მიწის ნაკვეთი სოფელ განთიადში, ასევე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი წავკისში. მეუღლის, ლინა თოფურიას საკუთრებაა ბინა და არასაცხოვრებელი ფართი თბილისში. კახა ოქრიაშვილი სს „ელექტრონიკის“ აქციონერია. მისი დაფუძნებულია შპს „პსპ ფარმა“ და შპს „ჯეომედი“. მხოლოდ „პსპ“-დან მიღებულმა შემოსავალმა ერთი წლის განმავლობაში 6 მილიონი ლარი შეადგინა. არაოფიციალური მონაცემებით, კახა ოქრიაშვილის ქონება დაახლოებით 300 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხობის მაჟორიტარი გოდერძი ბუკია 2008 წლიდან შპს „სისტემ-ნეტის“ პარტნიორია. დეპუტატი პარლამენტში მაინცდამაინც არ აქტიურობს. არაოფიციალური მონაცემებით, მისი ქონება 250 მილიონ დოლარად ფასდება.

ზურაბ ტყემალაძე საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, გამომგონებელი და 15-მდე ქართული ღვინის მარკის ავტორია. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მას თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, აქვს ბინა, რომლის ფართობი 205 კვ მია. მის მფლობელობაშია ასევე 348 კვ მ მიწის ნაკვეთი ჭავჭავაძეზე, მსუბუქი ავტომანქანა „პეჟო 607“ და სს „თბილხელსაწყოს“ ფასიანი ქაღალდები 68.500 დოლარის ოდენობით. ტყემალაძე შპს „საამოსა“ და შპს „აგუნას“ პარტნიორია. არაოფიციალურად, ტყემალაძის ქონება დაახლოებით 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

კობა ნაყოფია ბოლნისის მაჟორიტარია და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს. 7 ავტომობილი, აგარაკი კანარის კუნძულებზე და ლადო გუდიაშვილის 2 ფერწერული ტილო – ეს ნაყოფიას ქონებრივი დეკლარაციის მხოლოდ მცირე ნაწილია. არაოფიციალური მონაცემებით, ქართველი პარლამენტარის ქონება დაახლოებით 800 მილიონ დოლარად არის შეფასებული. 2004-2008 წლებში ნაყოფია სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ გენერალური დირექტორი იყო, ხოლო 2006-2008 წლებში – შპს „კვარციტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი შვილის, ნიკოლოზ ნაყოფიას სახელზეა გაფორმებული კომპანიები ვირჯინიის კუნძულებზე, ამერიკასა და საქართველოში. მათ შორის არის კომპანია „გოლდინვესტი“, რომელმაც წლების წინ ზარაფხანა იყიდა.

გოგი თოფაძე პარლამენტში საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. 2013 წელს შედგენილ 50 უმდიდრესი ქართველის სიაში 33-ე ადგილზე იყო. წლების განმავლობაში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და არაერთი კომპანიის პარტნიორი იყო. ამავე დროს, პოლიტიკურ მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, შემდეგ კი „მრეწველთა“ ფრაქციის ხელმძღვანელი გახდა. 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციით თოფაძის მფლობელობაშია 10 ათასი კვ მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში, ასევე მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, ბინა ვაკეში – მცხეთის ქუჩაზე. მისი მეუღლის, მარინა თოფაძის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთები წყნეთში. თოფაძეების ოჯახს ეკუთვნის 2010 წელს გამოშვებული ავტომობილი „მერსედეს ბენცი“ და ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო. გოგი თოფაძე სს „ყაზბეგის“ აქციონერია. კომპანიაში მისი ფასიანი ქაღალდების ღირებულება 584.608 ლარია. თოფაძეს რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი „ქართუ ბანკში“. დაუზუსტებელი ინფორმაციით, თოფაძისა და მისი ოჯახის ქონება 600 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

გოჩა ენუქიძე ამბროლაურის მაჟორიტარი დეპუტატია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. მისი საკუთრებაა ბინები თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, წყნეთსა და ბათუმში, არასაცხოვრებელი ფართი აბაშიძის ქუჩაზე, მიწის ნაკვეთი ყიფშიძის ქუჩაზე. გარდა ამისა, დეპუტატი ფლობს მიწის ნაკვეთს ამბროლაურის რაიონში. მისი მეუღლის, დეა ენუქიძის საკუთრება მიწის ნაკვეთები ბაკურიანსა და საგურამოში, ასევე მსუბუქი ავტომანქანა Volkcwagen.2012. FXF101. გოჩა ენუქიძე 36 კომპანიის პარტნიორია, მათ შორის „იბერკომპანი ირაოს“, „იბერკომპანი იოლის“, შპს „ბანის“, „იბერკომპანი პეტროლიუმის“, „იბერია თრეიდინგის“, „იბერია ავტოჰაუსის“, „იბერია მოტორსის“ და სხვა. დაუზუსტებელი მონაცემებით, ენუქიძის ქონება 200 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

გოგი ლიპარტელიანი ლენტეხის მაჟორიტარი დეპუტატია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. მის საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი წყნეთში, ხოლო მისი მეუღლის, ნაზი ლიპარტელიანის მფლობელობაშია საცხოვრებელი სახლი თბილისსა და მცხეთაში, ასევე მიწის ნაკვეთები თბილისსა და წავკისში. გოგი ლიპარტელიანი ს/ს „ელექტროავტომატში“ 57.430 დოლარის ღირებულების აქციის მფლობელია, მისი მეუღლე კი – ამავე კომპანიაში 34.714 დოლარის აქციისა. გოგი ლიპარტელიანის მეუღლე რამდენიმე კომპანიის პარტნიორია. ესენია: შპს „სპეროზა“, შპს „გამა+“, შპს „ტრანსგაზი“, შპს „ბიოსფერო“+. ლიპარტელიანის სახელს 500-მილიონიან ქონებას უკავშირებენ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის უძრავი ქონებაც შთამბეჭდავია: საცხოვრებელი ბინები, სახლები და მიწის ნაკვეთები უკრაინასა და საქართველოში. ფლობს 5 ძვირადღირებულ ავტომობილსა და მოტოციკლHARLEY DAVIDSON SPRINGER-ს. აქვს ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის სამ-სამი ფერწერული ტილო, ასევე მიმდინარე ანგარიშები საქართველოსა და უცხოურ ბანკებში, მათ შორის 4 მილიონი ევრო შვეიცარიულ ბანკ Jiulius Baer-სა და 3,8 მლნ დოლარი იტალიურ „inteza san paoloSi“. კახა კალაძე კვიპროსში რეგისტრირებული „Kala Capital Limited“-ის პარტნიორია, ასევე ფლობს წილებს უკრაინაში რეგისტრირებულ „იუკასა“ და „ნესტ გრუპში“. სხვადასხვა ინფორმაციით, მისი ქონება დაახლოებით 40 მილიონ დოლარს შეადგენს.

„ქართული ოცნების“ ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილს ვენესუელაში, მარგარიტას კუნძულზე, 160 კვ მ ფართობის ბინა და 53 300 კვ მ მიწის ფართობი ეკუთვნის. მისი მეუღლის, დანგუოლე გელაშვილის სახელზეა გაფორმებული ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში არსებული 720 კვ მ ფართობის ბინა. ვალერი გელაშვილის დეკლარირებულ ქონებაში შედის „ტოიოტასა“ და „ჰამერის“ მარკის ავტომობილები, ფასიანი ქაღალდები და თბილისში, რუსთაველის პროსპექტის №14-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი, სადაც მან რამდენიმე ბინა შეისყიდა. მისი მეუღლის სახელზეა გაფორმებული კიდევ ერთი ბინა თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე. დეკლარაციაში, ნაღდი ფულის გრაფაში, გელაშვილმა მილიონ 300 ათასი ლარი მიუთითა, ხოლო კრედიტად – 353 ათასი დოლარი. მის მიერ ლიტვაში დაფუძნებული კომპანიის მფლობელი ამჟამად მისი მეუღლეა, ხოლო შვილობილი კომპანიების მფლობელი მისი ვაჟი – ვალერი გელაშვილი. არაოფიციალურად, მისი ქონება 400 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

ბიპიენი

## სომხეთში ყველაზე მოთხოვნადი დასასვენებელი ადგილი საქართველოა




სომხეთში ყველაზე მოთხოვნადი საზაფხულო დასასვენებელი ადგილი საქართველოა. ამის შესახებ მედიას ტურისტული კომპანია „არმენია თრეველ+“-ის დირექტორმა მარინა კაპრელიანმა განუცხადა.

– გასვლით ტურიზმში ყველაზე მოთხოვნადი მიმართულება გახლავთ საქართველო, რადგან იქ ხელმისაწვდომი ფასებია დასასვენებლად, არ არის საჭირო ავიაგადაფრენა, საქართველოში სომხეთიდან შესაძლებელია მანქანით ან მატარებლით ჩასვლა. პოპულარობით მეორე ადგილზე საბერძნეთი და ესპანეთია, – აღნიშნა ექსპერტმა და დასძინა, რომ დასასვენებელი სეზონი პიკს სომხეთში ივლისიდან აგვისტომდე აღწევს.

რაც შეეხება შიდა ტურიზმს, სომხეთში ძირითადად ევროპული ქვეყნებიდან ჩადიან დასასვენებლად – გერმანიიდან, ავსტრიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და ესპანეთიდან.

ბიპიენი

## საქართველოში გარე რეკლამაზე მოთხოვნა შემცირდა

საქართველოში მოთხოვნა გარე რეკლამებზე წინა წლებთან შედარებით სერიოზულად დაეცა, – იტყობინება ბიზზონე.ინფო

როგორც აუტდოორ.გე-ს წარმომადგენელი, ნიკა ურუშაძე აცხადებს, ამის მიზეზი ეროვნული ვალუტის დევალვაცია და ქვეყნის საერთო ეკონომიკური სურათია. მისივე განცხადებით, კლიენტურის შესანარჩუნებლად კომპანიები იძულებულნი არიან, მომსახურების ფასი შეამცირონ.

წინა წლების მიხედვით, რეგიონებში გარე რეკლამის ფასი 10-15 დოლარი იყო კვ მ-ზე, ხოლო დედაქალაქში – 35-45.

მედიანიუსი

## რთვლის საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად აგვისტოს ბოლოს გაიხსნება

**სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა 2015 წლის რთვლის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.**

ოთარ დანელიას განცხადებით, გასულ წლებში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისა და სტიმულირებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სწორი პოლიტიკისა და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების შედეგად გაშენდა ახალი ვენახები, გაიზარდა ღვინის წარმოება და ქართული ღვინის საექსპორტო არეალი. მისივე თქმით, ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა, დამონტაჟდა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები.

– წელს ყურძნის უხვი მოსავალია და ხარისხიც საკმაოდ კარგია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მეზობელ ქვეყნებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და რეგიონში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ქართული პროდუქციისთვის მნიშვნელოვან და მსხვილ საექსპორტო ბაზრებზე ქართული ღვინის ექსპორტის შემცირება განაპირობა, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე უარყოფითად აისახა – მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნა ყურძენზე. შესაბამისად, დარგის განვითარების დადებითი დინამიკის შენარჩუნებისა და წარმოების სტიმულირების მიზნით, ასევე მევენახეების ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ კვლავ ყურძნის სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

მინისტრის განცხადებით, ბიუჯეტის კორექტირების მიუხედავად, რთველი 2015-ის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე – 35 თეთრის, ხოლო 1 კგ საფერავზე 15 თეთრის ოდენობის სუბსიდია გაიცემა. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიებისთვის იაფი სესხის გაცემაც გაგრძელდება.



– მიმდინარე წელს სუბსიდია გაიცემა არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე, როგორც ეს ბოლო 2 წლის განმავლობაში ხდებოდა, არამედ პირდაპირ მევენახეებზე. სუბსიდირების ამ პრინციპის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ გლეხი ჩაბარებული ყურძნის საფასურს დაგვიანების გარეშე, ყურძნის ჩაბარებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, ბანკში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს, – აცხადებს დანელია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე რთველი 2015-ის ტექნიკურ დეტალებზე ისაუბრა.



– რთველი 2015-ის ორგანიზებულად ჩატარებისა და პროცესში ჩართულ მხარეებს შორის მაქსიმალური კომუნიკაციის მიზნით წელს რთვლის საკოორდინაციო შტაბი თელავში განთავსდება. ამასთან, შტაბის წარმომადგენლობა გურჯაანშიც გაიხსნება. ამოქმედდება ცხელი ხაზიც და რთველი 2015-ის ვებგვერდიც, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს რთვლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიღების საშუალება ექნება. მომავალი კვირიდან, საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები უკვე გაემგზავრებიან კახეთში, ხოლო საკოორდინაციო შტაბი ოფიციალურად აგვისტოს ბოლოს გაიხსნება, – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ნიუსპრესი





[library watermark, illegible]

# როგორ დავიცვათ თავი მზის ალერგიისგან

ლია ოსაძე

**ზაფხულის პერიოდში ბევრი მზის სხივებს იმიტომ ეფიცხება, რომ სასურველი კანის ფერი მიიღოს. მაგრამ ზოგმა არც კი იცის, რომ მზის სხივები კანს ვნებს და სხვადასხვა დაავადებას იწვევს. კერძოდ, რა დაავადებების გამომწვევია, ამას ექიმი-დერმატოლოგი ქეთევან ბერიანიძე მოგვითხრობს.**





**ქეთევან ბერიანიძე:**

– ზაფხულის მაღალი ტემპერატურის დროს ხშირად ადამიანი არ იცავს ჰიგიენურ წესებს. ყოველთვის, როდესაც ქუჩიდან სახლში შევალთ, ხელები უნდა დავიბანოთ, რათა არ მოხდეს ნაწლავური ინფექციების გავრცელება, რომელიც ხშირად დიარეით გამოიხატება.

მშობელმა შვილს ყურადღება უნდა მიაქციოს, რათა ბავშვმა ხშირად დაიბანოს საპნით ხელები. ხშირად ჰიგიენური ნორმების არასწორად დაცვა პარაზიტულ დაავადებებსაც იწვევს, მათ შორის სოკოსა და მუნს. მუნი, შესაძლებელია, ადამიანს საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან და საყოფაცხოვრებო სფეროდანაც გადაედოს, ამიტომ ხელები ხშირად უნდა დავიბანოთ და ყურადღება მივაქციოთ ჰიგიენურ ნორმებს. რაც შეეხება სოკოს,

ზაფხულის პერიოდში სოკოვანი დაავადება ძალიან არის გახშირებული. სოკოვანი დაავადება შეიძლება კანზეც გაჩნდეს და ფრჩხილზეც. სოკოვანი დაავადება ხშირად საერთო მოხმარების საგნებიდან (ჯერ ერთი, ადამიანი შეეხება იმ საგანს, მერე მეორე) და ზღვიდან გადადის. ამიტომ ადამიანმა უნდა იცოდეს ყველა იმ დაავადების შესახებ, რომლებიც ზაფხულთან არის დაკავშირებული, რათა თავადაც დაცული იყოს და სხვასაც არ გადასდოს ესა თუ ის დაავადება.

***– ქალბატონო ქეთი, ზაფხულის პერიოდში ადამიანებს ხშირად უჩნდებათ ალერგია მზის სხივების მიმართ. როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ დაავადებისგან?***

– დიახ, ზაფხულის პერიოდში ადამიანების უმეტესობას აღენიშნება ალერგიული რეაქციები მზის სხივების მიმართ, რასაც ექიმები ფოტოდერმატიტს ვუწოდებთ ანუ ალერგიას მზის სხივების მიმართ. ეს დაავადება ნებისმიერ ასაკში შეიძლება გამოვლინდეს, მამაკაცებშიც და მანდილოსნებშიც. ეს დაავადება ყველაზე მეტად გამოიხატება სხეულის ღია არეებზე ანუ სახეზე, გულმკერდსა და მკლავებზე. ეს დაავადება არის მოწითალო ფერის ლაქოვანი გამონაყრით, რასაც თან სდევს ძლიერი ქავილი. ეს შეიძლება ერთჯერადი იყოს ან ხანგრძლივი ფორმის. გარდა იმისა, რომ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ალერგიული რეაქციები მზის სხივებისგან, ხშირად აღენიშნებათ ისეთი პრობლემები, რომელსაც ლაქებს ვუწოდებთ. ლაქა შეიძლება იყოს ყავისფერი შეფერილობის ან თეთრი, რომელიც უფრო მწვავე მზის სხივების შედეგად ვლინდება. პიგმენტური ლაქები მამაკაცებშიც ვლინდება და ქალებშიც. სახეზე მუქი ყავისფერი ლაქების არსებობა შეიძლება მზის სხივებმაც გამოიწვიოს და სხვადასხვა შინაგანი ორგანოს დაზიანებამაც. კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიამ, ნაღველ-კენჭოვანმა დაავადებამ.

***– კიდევ რა დაავადება არსებობს?***

– არსებობს ასეთი დაავადება, ვიზილიკო, რომელიც გამოიხატება სხეულის ნებისმიერ არეზე თეთრი ლაქების არსებობით. ამ დაავადების გამწვავება ხდება ჭარბი მზის სხივების ზემოქმედებით. მზის სხივებისგან დაცვა შესაბამისი დამცავი კრემებისგან არის შესაძლებელი, რომელსაც ახლავს თავისი დამცავი ფილტრი ანუ ესპეესი აბრევიატურით, რომელიც შეიძლება იყოს სხვადასხვა სიმძლავრის (დაწყებული 15-დან, დამთავრებული 90-ის ჩათვლით). მისი შერჩევა დამოკიდებულია ადამიანის კანის პრობლემაზე. არსებობს სახის კანის დამცავი კრემებიც. ესპეესის შემცველობა (მაღალია თუ დაბალი) განსაზღვრული უნდა იყოს ინდივიდუალურად, აგრეთვე პრობლემის გათვალისწინებით.

***– ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად ოფლიანობის პრობლემაც დგება. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადამიანს ხშირად გვერდით მჯდომი ადამიანისგან დისკომფორტი ექმნება მძაფრი სუნის გამო.***

– ჰიპერჰიდროზი ანუ ჭარბოფლიანობა გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ მკვეთრად აუარესებს ადამიანის ცხოვრების რიტმს. ეს დაავადება შეიძლება განპირობებული იყოს ნევროზითაც. ჰიპერჰიდროზი შეიძლება გამოხატული იყოს ხელებზე, ფეხის გულებსა და იღლიის ფოსოებში. ამ დაავადებასაც პროვოცირებას უწევს მზის სხივები ანუ სიცხე და სხვადასხვა ორგანული დაავადება. ადამიანების კატეგორიას შეიძლება ჰქონდეს ქრონჰიდროზი და ბრონჰიდროზი, რაც ნიშნავს სპეციფიკური სუნის მქონე ოფლისა და შედარებით ფერადი ოფლის გამოყოფას. ორივე შემთხვევაში აუცილებელია არა მარტო ჰიგიენური წესების დაცვა, არამედ მკურნალობაც. მინდა გითხრათ, რომ მკურნალობა ადვილად ხდება და განკურნება შესაძლებელია.

## რჩევები

ცაცხვი და ძახველი – მოამზადეთ ნარევი: ცაცხვის ყვავილი 1 წილი, ძახველის ნაყოფი 1 წილი. ნარევის 2 ს.კ. დაასხით 2 ჭიქა მდუღარე. ადუღეთ 5 10 წუთი. გაფილტრეთ, დალიეთ ცხელი ღამით 1 2 ჭიქა.

• • •

გრიპის საწინააღმდეგოდ გამოიყენება:

ასკილის ნაყენი – ასკილის გამყვარი ნაყოფი დააქუცმაცეთ და 5 ს.კ. ჩაყარეთ 1 ლიტრ ცივ წყალში, ადუღეთ 10 წუთი. შემდეგ გააჩერეთ შეფუთული 8 10 საათი და გაფილტრეთ მარლაში. დალიეთ ყოველ 2 3 საათში რამდენიმე დღის განმავლობაში.

შეგიძლიათ მიიღოთ თაფლთან ერთად.

• • •

ჟოლო ჩვეულებრივი – შაქრიანი ჟოლოს წვენი კარგია მაღალი სიცხის დროს. გამხმარი ნაყოფის ნაყენი შეგიძლიათ ასე მოამზადოთ: 1 ს.კ. დაქუცმაცებულ ჟოლოს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი და დააყოვნეთ 20 წუთი. ცხელი ნაყენი თითო ჭიქა მიიღეთ დღეში 2 ჯერ.

• • •

ჟოლო თაფლით – 1 ს.კ. თაფლი, 1 ს.კ. ჟოლო, 1 ს.კ. მოცხარი აურიეთ, დაასხით 100 მლ მდუღარე, დააყოვნეთ 15 წუთი. დალიეთ 3 ჯერ დღეში ნახევარი ჭიქა ჭამის წინ.

დინდგელი – 2 მარცვალი მუხუდოს ზომის დინდგელის ნაჭერი მუდმივად გედოთ პირში და ღეჭეთ.

• • •

ნიორი თაფლით – დანაყილი ნიორი აურიეთ ნატურალურ თაფლს თანაფარდობით 1:1 თან. მიიღეთ ძილის წინ 1 ს.კ. ცხელ წყალთან ერთად.

• • •

ბოლოკი (ხველების დროს) – ბოლოკი ძალიან წვრილად დაჭერით და მოაყარეთ შაქარი. გამოყოფილი ტკბილი წვენი დალიეთ 1 ს.კ. ყოველ საათში.

• • •

სურდო – ადუღეთ 15 20 წუთის განმავლობაში 60 გრ წიწაკის ფესვი 1 ჩაის ჭიქა თეთრ ღვინოში. შემდეგ ნახარში გაფილტრეთ და მიიღეთ ცხელი სახით 3 ჯერ დღეში 3 5 დღის განმავლობაში.

• • •

ქრონიკული სურდოს დროს, როდესაც გაქვთ ცხვირის „გაჭედვის" შეგრძნება, დაიდეთ მდოგვი ქუსლზე და შეიხვიეთ. ჩაიცვით შალის წინდები და იყავით ასე 1 2 საათი. შემდეგ მოიხსენით მდოგვის საფენები და იარეთ ოთახში სწრაფად რამდენიმე ხნის განმავლობაში. უმჯობესია ეს პროცედურა ძილის წინ გააკეთოთ. სურდოს დროს კარგია ასევე ახალგახეხილი ჭარხლის წვენი. ის უნდა შეურიოთ თანაბარი რაოდენობის თაფლს და მიიღოთ ნახევარი ჭიქა 3 4 ჯერ დღეში.

• • •

ძლიერი და გახანგრძლივებული ხველის დროს ერთ კოვზ ანწლის გამხმარ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთს და გამოწურეთ. მიიღეთ თითო მეოთხედი ჭიქა 3 4 ჯერ ჭამამდე 15 წუთით ადრე.

• • •

ანგინა შეიძლება ერთი დღე ღამის განმავლობაში განვკურნოთ, თუ დავღეჭავთ ნაძვის ახალდადენილ ფისს.

## მკურნალი მცენარე

### აკაკის ხე



აკაკის ხე თელისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი დაბალი ხე ან ბუჩქია (იშვიათად 12) მეტრი სიმაღლის. ტოტებზე მორიგეობიათ განლაგებული ფოთლები ასიმეტრიულია. ბოლოში წანვეტილი, ხერხკბილა, ხეშეში, ქვემოდან შებუსვილი, ნაყოფი 1 სანტიმეტრამდე სიმსხოს კურკიანაა, მოწითალო ყვითელი, მოყავისფრო ან უფრო მუქი. ყვავის მარტ მაისის განმავლობაში, ნაყოფი სექტემბერ ოქტომბერში მწიფდება, ნელმოზარდი ჯიშია. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 500 წლამდე აღწევს. მრავლდება თესლით და ფესვის ნაბარტყით, ხასიათდება ძირკვის უხვი ამონაყარით. საქართველოში ძირითადად აღმოსავლეთ რაიონებშია გავრცელებული. იგი ნათელი ტყეების ერთ ერთი მნიშვნელოვანი მერქნიანი ჯიშია, მთაში ზღვის დონიდან 1.000 მეტრამდე სიმაღლეზე გვხვდება. აკაკის მერქანი ძალიან მკვრივია, მას მეორენაირად რკინის ან ქვის ხესაც უწოდებენ. გამოიყენება საავეჯო წარმოებაში.

ნაყოფს სასიამოვნო გემო აქვს, იჭმება, საზამთროდ ახმობენ და ინახავენ ხილად, ფქვავენ კურკიანად და ფქვილისაგან განსაკუთრებულ ფაფას ხარშავენ, რომელიც დიდი ყუათიანობით გამოირჩევა. ნაყოფი 15% მდე ცხიმს შეიცავს, რომელიც ნუშის ზეთს ჰგავს. ქერქი 8-2% ტანიდებს შეიცავს, გამოიყენებოდა ტყავის სათრიმლავად და ქსოვილების შესაღებად.

### აღმოსავლური ნაძვი



აღმოსავლური ნაძვი ფიჭვისებრთა ოჯახს ეკუთვნის. 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრში კი 2 მეტრამდე აღწევს. ხშირი დატოტვის გამო ვარჯი ძალიან კომპაქტურია და წვიმას თითქმის არ ატარებს. გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში. ძირითადად იზრდება 1.500-1.700 მეტრ სიმაღლეზე, ზოგან უფრო მაღლაც ქარისგან დაცულ ადგილებში.

ნაძვის ფისისაგან შესაძლოა კოლოფანის, სკიპდარის და ხის ძმარის დამზადება. ქერქი შეიცავს ტანინებს, რომელიც განსაკუთრებით ბევრია ზრდაში ჩამორჩენილ დაჩაგრული ხეების ქერქში. წიწვები 400 მგ პროცენტზე მეტ ა ვიტამინს შეიცავს და გამოიყენება ვიტამინოვანი კონცენტრატების მოსამზადებლად.

აგრეთვე სურროვანდის საწინააღმდეგო ნაყენებისათვის. აგრეთვე ნაძვის წიწვებს იყენებენ აბაზანებისათვის რევმატიზმის სამკურნალოდ.

ნაძვის წიწვებიდან მიიღება პრეპარატი პინაბინი, რომელიც ეთერზეთის 50%-იანი ხსნარია ატმის ზეთზე. პინაბინი სპაზმოლიტურად მოქმედებს შარდგამომყოფი გზების მუსკულატურაზე, ზღუდავს ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების განვითარებას. იგი რეკომენდირებულია, როგორც შარდმდენი საშუალება თირკმელების კენჭოვანი დაავადების და თირკმლის ჭვალის დროს.

იღებენ 5-20 წვეთს შაქრით, დღეში სამჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე 4-5 კვირის განმავლობაში. პინაბინის მიღება დასაშვებია მხოლოდ ექიმის გამოწერით.

ნაძვის კვირტების ნაყენს ცდიან, როგორც საშუალება ანთებადი პროცესების სამკურნალოდ და სასუნთქი გზების სპეციფიკური დაავადებების (რინიტი, კატარი, ანგინა, ბრონქიალური ასთმა და სხვ.) წინააღმდეგ.

ხალხურ მედიცინაში ნაძვის ჩვილი ყლორტების არაყზე ნაყენს იყენებენ ტუბერკულოზის დროს.

### კუნელი



კუნელი შესანიშნავი სამკურნალო მცენარეა. შეიცავს ფლაონონოიდებსა და სხვა ნივთიერებებს. ნაყოფისა და ყვავილის პრეპარატებს უნიშნავენ, ვისაც გულსისხლძარღვთა სისტემა აქვთ დაავადებული, როგორც კუნთის მატონირებულ საშუალებას. მათ ჰიპოტენზიური და დამაწყნარებელი თვისება აქვთ. იჭმევა როგორც ნედლ, ისე გამხმარ მდგომარეობაში. კუნელი მედიცინაში გამოიყენება გულისცემის, უძილობის და სისხლის მაღალი წნევის დროს.

**კუნელის ნაყენი მზადდება შემდეგი დოზით:** წვრილად დაჭრილი 100 გრ ნაყოფი და 70 პროცენტიანი 1 ლ სპირტი. ხმარობენ 50-50 წვეთს სამჯერ დღეში, ჭამამდე.

ნედლი ყვავილებისაგან ნაყენის მოსამზადებლად რეკომენდირებულია ერთ ნაწილ სრულიად ახლად გაშლილ ყვავილებს დაესხას 10 ნაწილი 70 გრადუსიანი სპირტი. 7 დღის შემდეგ იღებენ 15-30 წვეთს 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ იღებენ. ეს ნაყენი კარგია გულის სისუსტისას, უძილობის, ჰიპერთირეოზიის, ჰიპერტონიის დროს. ის ანელებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებულობას.

**ყვავილის წყლიან ნაყენი** – 3 სუფრის კოვზი ყვავილი 3 ჩაის ჭიქა ადუღებულ წყალზე – უნდა მიიღოთ თითო ჭიქა დღეში სამჯერ. კარგია, გაციებისას და ძლიერი ნერვული აშლილობისას, თავბრუს ხვევისას, კლიმაქსის დაწყების სტადიაში.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# იანუკოვიჩი უკრაინის გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზეა დაბარებული

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი უკრაინის გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზეა დაბარებული. უკრაინული მედიის ცნობით, მან გამოძიების ფარგლებში ჩვენება უნდა მისცეს.

ვიქტორ იანუკოვიჩი გამოძიებას მის დასაკითხად რუსეთში ჩასვლას სთავაზობს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი მზადაა, სამართალდამცავებს დონის როსტოვში შეხვდეს.

იანუკოვიჩის ადვოკატ ვიქტორ სერდიუკის განცხადებით, ექსპრეზიდენტმა უკვე მიმართა უკრაინის გენერალურ პროკურატურას.



– იანუკოვიჩის ადგილსამყოფელის კონკრეტულ მისამართს გამოძიებას მიაწვდიან. ექსპრეზიდენტის უსაფრთხოების გამო მისამართის საჯაროდ დასახელებისგან თავს ვიკავებთ, – განაცხადა სერდიუკმა.

ყოფილ პრეზიდენტს უკრაინაში სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად ხარჯვასა და ძალაუფლების უზურპაციაში ადანაშაულებენ.

ვიქტორ იანუკოვიჩი 2010 წლის 25 თებერვალს აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტად, გასული წლის თებერვალში კი ის კიევში მასობრივი დემონსტრაციების შედეგად გადააყენეს. ამ დროისათვის ვიქტორ იანუკოვიჩის ადგილსამყოფელი უცნობია. ის, სავარაუდოდ, კვლავ რუსეთში იმყოფება.

## იაპონიაში გაუსაძლისმა სიცხემ 32 ადამიანი იმსხვერპლა



იაპონიაში ანომალიური სიცხეებია. ჰაერის ტემპერატურა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 36 გრადუსს აჭარბებს. ჰაერის უკმარისობისა და მზის დარტყმის სიმპტომებით ადგილობრივ კლინიკებში 11 ათასზე მეტი პაციენტია ჰოსპიტალიზებული. გაუსაძლისმა სიცხემ 32 ადამიანი იმსხვერპლა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების სამსახური საგანგებო რეჟიმში მუშაობს. მშრალ და ცხელ ამინდს იაპონიაში ივლისის დასაწყისიდან ებრძვიან.

ივლისის შუა რიცხვებში ქვეყანას ტაიფუნმა „ნანგკამ" გადაუარა, რის შემდეგაც ტემპერატურამ კვლავ მატება დაიწყო. იაპონიის ზოგიერთ რეგიონში ტემპერატურა 40 გრადუსს აღწევს.

## ერაყში აფეთქებას 43 ადამიანი ემსხვერპლა



ერაყის აღმოსავლეთში, ქალაქ ბაქუბაში მომხდარი აფეთქებების შედეგად 43 ადამიანი დაიღუპა 70 კი დაიჭრა. ერთ-ერთი ბომბი ქალაქის მახლობლად, ბაზარში აფეთქდა, მეორე კი – საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან.

მომხდარზე პასუხისმგებლობას ოფიციალური ბაღდადი „ისლამურ სახელმწიფოს" აკისრებს.

ამ მომენტისთვის ქალაქს სამთავრობო ძალები აკონტროლებენ, თუმცა დიალის პროვინციაში „ისლამური სახელმწიფოს" მეამბოხეებთან შეტაკებები ისევ გრძელდება.

## ველოსიპედისტი ქალი ტყვიისგან ბიუსტჰალტერმა გადაარჩინა

გერმანიაში ველოსიპედით მოგზაური ქალი მონადირის ტყვიისგან საკუთარმა ბიუსტჰალტერმა გადაარჩინა. ის მხოლოდ მსუბუქად დაშავდა.

ველოსიპედისტი, რომლის ვინაობაც უცნობია, მეგობართან ერთად მეკლენბურგ პომერანიაში მოგზაურობდა. ტყეში სეირნობის დროს წყვილი ტახზე სანადირო ზოლში აღმოჩნდა. მოულოდნელად ქალმა მკერდის არეში ტკივილი იგრძნო, რაც იმის შედეგი იყო, რომ ტყვია მისი ლიფის ლითონის დეტალს მოხვდა და აისხლიტა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი თავს შეუძლოდ არ გრძნობდა, მაინც გადაწყვიტა, სამედიცინო შემოწმება გაევლო. ახლომდებარე ქალაქ გადებუშის საავადმყოფოში გამოკვლევის შედეგად ექიმებმა დაადგინეს, რომ მისი ტრავმა მკერდის არეში ჩალურჯებებით იყო გამოწვეული.

ქალაქ გადებუშის პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციები ძალაში შევიდა

აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული მორიგი სანქციები ძალაში შევიდა. უკრაინული მედიის ცნობით, აშშ-ის ფედერალური მთავრობის გაზეთში გამოქვეყნდა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების გაფართოებული სია, რომელთა წინააღმდეგაც სექტორული სანქციები ამოქმედდა.



სანქციების მიხედვით, სიაში მოხვდა შვიდი ფიზიკური პირი და ექვსი კომპანია, რომლებმაც ამ დრომდე დაწესებული სანქციები თავიდან აირიდეს, ასევე ორი რუსული კომპანია, რომელთა საქმიანობა რუსეთის სამხედრო ინდუსტრიასთან არის დაკავშირებული, ოთხი ყოფილი უკრაინელი მაღალჩინოსანი და მათი მხარდამჭერები, რომლებიც სახელმწიფო ქონების მოპარვასა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში არიან ბრალდებულები, ვიქტორ იანუკოვიჩის შვილის კომპანია „მაკო", ყირიმის პორტების ხუთი ოპერატორი და კიდევ 35 კომპანია.

აშშ-მ ამ დრომდე რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ არაერთი ეკონომიკური სანქცია დააწესა. დაწესდა არაერთი შეზღუდვა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვისაც. სანქციების დაწესება რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასა და დონბასში რუსეთის აგრესიულ ქმედებებს უკავშირდება.

ამ ფონზე, დონბასში კვლავ სროლის ხმა ისმის. კიევი უფლებას იტოვებს, სეპარატისტთა პროვოკაციებს ადეკვატურად უპასუხოს. ამ განცხადებას უკრაინის გენერალური შტაბის პრესსამსახური აქვეყნებს. ამავე ინფორმაციით, უკრაინულმა მხარემ სეპარატისტთა მხრიდან მინსკის შეთანხმების პირობების დარღვევის შესახებ ეუთოს მისიას უკვე აცნობა. როგორც ოფიციალური კიევი ირწმუნება, სეპარატისტთა მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დონბასში ინტენსიურად ირღვევა, რასაც უკრაინული მხარე ადეკვატურად პასუხობს.

# მალაიზიური „ბოინგის" კატასტროფის ადგილას რუსული სარაკეტო სისტემის შესაძლო ფრაგმენტები აღმოაჩინეს

აღმოსავლეთ უკრაინაში მალაიზიური „ბოინგის" კატასტროფის ადგილას რუსული სარაკეტო სისტემის შესაძლო ფრაგმენტები აღმოაჩინეს. ამის შესახებ, „ბიბისის" ცნობით, ჰოლანდიელი გამომძიებლები იტყობინებიან.



მათივე განცხადებით, აღნიშნული ფრაგმენტები დაეხმარება გამოძიებას, დადგინდეს, რეალურად ვინ მიიღო მონაწილეობა ავიაკატასტროფაში.

მალაიზიური ავიახაზების კუთვნილი „ბოინგი", რომელიც ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურისკენ მიემგზავრებოდა, დონეცკის ტერიტორიაზე 2014 წლის ივლისში ჩამოვარდა. დაიღუპა 298 ადამიანი. მათგან 196 ჰოლანდიელი იყო. დასავლეთის ქვეყნები და უკრაინა აცხადებენ, რომ ლაინერის ჩამოგდება რუსული „ბუკის" ტიპის სარაკეტო სისტემით განხორციელდა. მოსკოვი აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს და მომხდარში კიევს ადანაშაულებს.

რუსეთი დონბასში მასშტაბურ პროვოკაციას გეგმავს, რომელსაც, „ბოინგის" კატასტროფის ანალოგიურად, მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვება. ამის შესახებ უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრ ტურჩინოვმა განაცხადა.

– რუსეთის სპეცსამსახურები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანების მასობრივი თავშეყრის ადგილების შერჩევას ახდენენ, მათ შორის საბავშვო ბაღების, სასწავლო დაწესებულებების, საცხოვრებელი სახლების და ამუშავებენ ტერაქტების ორგანიზების სცენარებს, – განაცხადა ტურჩინოვმა.

მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლება მიზნად ისახავს, ტერაქტის დროს დაიღუპოს ბევრი ადამიანი, ანალოგიურად, როგორც ეს მოხდა „ბოინგის" კატასტროფის დროს.

ტურჩინოვმა აღნიშნა, რომ პროვოკაცია იგეგმება „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში უკრაინის ცენტრალური ხელისუფლებისთვის ბრალის შესათითხნად", რათა საერთაშორისო დონეზე მოხდეს უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ პასუხისმგებლობის საკითხის ინიცირება.

– ამ სისხლიანი დანაშაულის ჩადენას გეგმავენ უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებად შენიღბვით, მათივე მოწყობილი პროვოკაციების საპასუხოდ, – განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ამ დანაშაულით მოსკოვი შეეცდება, საერთაშორისო თანამეგობრობას „დაავიწყოს" „ბოინგის" კატასტროფის ფაქტი, რომელიც რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული.

## დაღესტანში ამბოხებულთა მეთაური მოკლეს

დაღესტანში „იმარატ კავკაზის" ლიდერი მოკლეს. სპეცოპერაცია ანცუკულის რაიონში ჩატარდა. მაგომედ სულეიმანოვს, იმავე აბუ უსმანის ბრალად რამდენიმე ტერორისტული აქტის განხორციელება და პოლიციელებზე თავდასხმა ედებოდა. სპეცრაზმელებმა სულეიმანოვთან ერთად მისი 4 თანამებრძოლიც მოკლეს. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება.



მაგომედ სულეიმანოვი რუსეთში ტერორისტულ დაჯგუფებად მიჩნეული „კავკასიის იმარატის" ლიდერი მაისში გახდა, მას შემდეგ, რაც დაჯგუფების ყოფილი ლიდერი, ჩეჩენი სეპარატისტი ალიასხაბ კებეკოვი მოკლეს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა



## განცხადებები

• თამბაქოს მწეველობის მიტოვება თამბაქოს სრულ შეზიზღებამდე, ნიკოტინისგან ფილტვების გაწმენდა, ჰიპომნეზია (მეხსიერების შესუსტება), ამნეზია, უძილობა, სტრესი, დეპრესია, შფოთვა ძილში, ნერვული აგზნებადობა – მცენარეული, მაღალეფექტური და აბსოლუტურად უსაფრთხო პრეპარატებით, უმაღლესი შედეგებით. ტელ: 599-36-65-34; 592-25-38-26 ნინო ექიმი.

• სიმაღლეში ზრდის ეფექტური სწრაფი პროგრამა კურსით 2-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკოვანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. ტელ: 592-10-58-22 ქ-ნი ნონა.

• ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

• სიახლე!!! 3-კომპონენტიანი კუპაჟი – გასახდომი ყავა!!! ანტიდიაბეტური ეფექტით! 750 მლ-იან ქილაში, 40-45 დღის – 15 ლარი. მის: თამარ მეფის 27. ტელ: 558-59-59-82.

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრებებით: „პლანტა"-ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც), „პლანტა-გლანდა"-ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა. „პლანტა+"-კისტა, ფიბრომა, მომატებული პროლაქტინი... კენჭოვანი დაავადებები, პროსტატიტი, ადენომა, კოლიტი, შაკიკი. ტელ: 259-59-82, 558-59-59-82. ენვერი.

• იყიდება მცხეთის რაიონის სოფ ვაზიანში (მუხრანთან ახლოს, თბილისიდან 35კმ-ში) 2000 კვ.მ. ხეხილიანი, შემოსაზღვრული საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სინათლე, წყალი, გაზი, ახლოსაა. 1 კვ.მ-ს ფასი 2,5 დოლარი. ტელ: 0790-90-32-96; 568-657-486 ალექსანდრე.

• მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

• ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

• მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

• იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

• კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების გაფართოებული სია შეიკვეცა

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები სლოვენიიდან დაბრუნდა. იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით ქართველებმა კურორტ პოდჩეტრტეკის სპორტკომპლექს „ტერმე ოლიმიაში" ორკვირიანი შეკრება გაიარეს და 2 სპარინგმატჩი გამართეს. ბოსნიასთან 5 და 6 აგვისტოს ჩატარებული შეხვედრებისა და სლოვენიური შეკრების შემდეგ ნაკრების თავკაცი 3 კანდიდატს დაემშვიდობა.

ნაკრებში თავდაპირველად 18 კანდიდატი გამოიძახეს, რომლებმაც ჯერ თბილისური შეკრება გაიარეს (13-23 ივლისი), შემდეგ კი სლოვენიაში გაემგზავრნენ. სლოვენიიდან თბილისში გამომგზავრების წინ იგორ კოკოშკოვმა ის მოთამაშეები დაასახელა, რომლებიც ნაკრებს დატოვებენ: ნოდარ გოგოძე, გიგა ჯანელიძე და მიხეილ ჭოჭუა.

გოგოძე და ჯანელიძე ნაკრების ახალწვეულები არიან. გოგოძემ გასული სეზონი საქართველოს ჩემპიონატში, კლუბ „ოლიმპში" გაატარა და ამ გუნდის რამდენიმე ხმაურიან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო, გიგა ჯანელიძე კი იტალიაში, რანგით მესამე ლიგაში თამაშობდა და ნაკრების მწვრთნელებმა მისი გამოცდა განიზრახეს. მიხეილ ჭოჭუა სტაჟიანი რუსთაველი ფორვარდია, რომელიც ნაკრებში შარშან მოხვდა, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია.

ამგვარად, ეროვნულ ნაკრებში 15 კალათბურთელი დარჩა, რომელთაგან ევრობასკეტისთვის საუკეთესო 12 მოთამაშე შეირჩევა.

ნაკრებმა ერთი დღე დაისვენა და გუშინდელი დღიდან ორჯერად ვარჯიშებს შეუდგა. გუნდი დილას და საღამოს სპორტის სასახლეში ივარჯიშებს. 14-16 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ესტონეთთან, იტალიასთან და ლატვიასთან ერთად თბილისის მერიის თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

**საქართველოს ნაკრების სადღეისო შემადგენლობა ასეთია:**

**გამთამაშებლები:** გიორგი ცინცაძე, ბექა წივწივაძე (ორივე შსს აკადემია), ჯეიკობ პულენი (ცედევიტა, ხორვატია), ოთარ ფხაკაძე (ლანგსტონი, ნცაა);

**მსროლელები:** მანუჩარ მარკოიშვილი (უგუნდო), დუდა სანაძე (სან დიეგო, ნცაა), ლევან ფაცაცია (უგუნდო), ბესიკ ლეჟავა (დინამო);

**ფორვარდები:** ვიქტორ სანიკიძე (კოლეჯლილერი, თურქეთი), თორნიკე შენგელია (ლაბორალ კუჩა, ესპანეთი), ბექა ბურჯანაძე (კორუნა, ესპანეთი), ნიკა მეტრეველი (შსს აკადემია);

**ცენტრები:** ზაზა ფაჩულია (დალასი, ნბა), გიორგი შერმადინი (ანდორა, ესპანეთი), გიორგი შარაბიძე (შსს აკადემია)



# დე ხეა თითქმის მადრიდელია

ესპანური მედიის ინფორმაციით, კეილორ ნავასი მადრიდის „რეალის" პირველი მეკარე აღარ იქნება. ეს ყველაფერი იმის ნიშნავს, რომ სულ მალე გუნდი „მანჩესტერის" მეკარე დავიდ დე ხეას გაიფორმებს. ესპანური გამოცემების ცნობით, „რეალს" ტრანსფერი 30 მილიონი ევრო დაუჯდება.

დე ხეას გამადრიდელება გადაწყვეტილი რომ არის, ამას ინგლისური მედიაც ადასტურებს. ერთია, „იუნაიტედი" თანხებით სპეკულირებს, თუმცა თავადაც კარგად ხვდება, რომ ყველა გარემოება ფლორენტინო პერესის წისქვილზე ასხამს წყალს.

მეტიც, მანჩესტერელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა დავიდ დე ხეასთან საუბარიც კი აკრძალა, „იუნაიტედში" ესპანელის პერსონა სრულიად იბლოკება.

გავრცელებული ინფორმაციით, ვარჯიშის დროს კიპერმა ვან გაალს რამდენიმე სიტყვა უთხრა, პასუხად კი მიიღო – არ გაბედო ჩემთან საუბარიც კი.

მეკარის გარდა, „რეალს" თავდამსხმელიც აინტერესებს. ფლორენტინო პერესი ცენტრფორვარდს აუცილებლად იყიდის, თუმცა რამდენიმე კანდიდატიდან ჯერ შერჩეული არავინაა.

კუნ აგუეროსთან დაკავშირებით არაერთი ინფორმაცია ვრცელდება, თუმცა, მოლაპარაკებები რამდენად დასრულდება წარმატებით, უცნობია.

ამასთანავე, მადრიდში ალვარო მორატაზეც ფიქრი დაიწყეს, მაგრამ აცნობიერებენ, რომ ალვარო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება მადრიდელთა რიგებს, თუ გარანტიებს მიიღებს. მორატა „იუვენტუსში" თავს შესანიშნავად გრძნობს.

საუბარია ფერნანდო ლორენტეზეც, რადგან მადრიდულ კლუბში იციან, რომ ესპანელი სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათადარიგოთა სკამზე უპრობლემოდ დაჯდება და, საჭიროების შემთხვევაში, თამაშში ნაყოფიერად ჩაერთვება.

ლორენტეს შეძენაზე პრეტენზიას რამდენიმე კლუბი აცხადებს. მისი „იუვედან" წასვლა თითქმის გადაწყვეტილია. თუმცა, არ არის გამორიცხული, ლორენტე ცენტრალური ფიგურაც გახდეს. ეს იმ შემთხვევაა, თუ „რეალი" გუნდიდან კარიმ ბენზემას გაუშვებს. ამ ტრანსფერის თაობაზე ლონდონის „არსენალის" ხელმძღვანელობა „რეალის" მმართველებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ინგლისელთა მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერის განცხადებით, თუ ფრანგი წინახაზელი „მეთოფეთა" რიგებს შეუერთდება, ისინი პრემიერლიგის მოგებას შეძლებენ.

„არსენალმა" პრემიერლიგა ძალიან დიდი ხნის წინ მოიგო, ახლა კი ქომაგები რადიკალურ პოზიციას ირჩევენ და გუნდს მოუწოდებენ, ბენზემას შესაძენად ყველაფერი იღონონ.

არსენ ვენგერი კატეგორიულად უარყოფდა თანამემამულისადმი ინტერესს, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მანაც დაადასტურა, რომ კარიმი სჭირდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**10 აგვისტო**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 0:3 |
| **გერმანია. თასი** | |
| ალენი-ნიურნბერგი | 0:0(1:2პ) |
| არმინია-ჰერტა | 0:2 |
| ზ.პაული-გლადბახი | 1:4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| რუბინი-როსტოვი | 0:3 |
| კრასნოდარი-ყუბანი | 1:1 |
| **ჩეხეთი. სინოტ ლიგა** | |
| იიჰლავა-იაბლონეცი | 1:0 |
| ლიბერეცი-დუკლა | 1:1 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| რუხი-პოდბესკიჟიე | 1:1 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 0:2 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| აიკი-დიურგარდენი | 1:0 |
| კალმარი-სუნდსვალდი | 0:2 |

# საქართველოს ნაკრების მომავალი ისევ ბუნდოვანი თუ ოპტიმისტური?



საოცარი ხალხი ვართ ქართველები – გამოუსწორებელი ოპტიმისტები. ნებისმიერი წილისყრის შემდეგ თუ შესარჩევი ციკლის დაწყებას ქართველი გულშემატკივარი იმედით ხვდება. ასეა ამჯერადაც – 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ისეთ ჯგუფში მოვხვდით, სადაც არც ერთი გრანდი არ არის!

არადა, მსგავსი შემთხვევები გვახსოვს, მაგრამ ან ბოლო ადგილზე გავსულვართ, ან – ბოლოსწინაზე.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნაკრების წარმატების მიღწევით „გვაბოლებს" მთავარი მწვრთნელი და ფედერაციის ხელმძღვანელობა. ეს დადასტურდა ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც მიზნად მინიმუმ მესამე და მაქსიმუმ მეორე ადგილი დაისახეს.

მართალია, რომ ჯგუფში გრანდები არ არიან, მაგრამ, რა რესურსი აქვს საქართველოს ნაკრებს და შეუძლია თუ არა, ამ ფეხბურთელებით იბრძოლოს ჯგუფში მაღალი მიზნებისთვის, თუნდაც მესამე ადგილისთვის, რომელიც პროგრამამინიმუმად არის დასახული?

მივყვეთ ამპლუების მიხედვით:

### მეკარეები

ნაკრებს ამ პოზიციაზე ყველაზე ნაკლებად უჭირს. გიორგი ლორია, ნუკრი რევიშვილი, როინ კვასხვაძე... თუმცა, უკვე იქმნება პრობლემა – პირველი მეკარე (ლორია) ჯერჯერობით პრაქტიკის გარეშე რჩება. ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" ლორია არ ითვლება პირველ მეკარედ და, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამით დაკმაყოფილდება.

რჩება რევიშვილი, რომელსაც აქვს პრაქტიკა რუსულ პრემიერლიგაში და კვასხვაძე, რომელიც არცთუ ძლიერ ლიგაში, კვიპროსის ჩემპიონატში ასპარეზობს, მაგრამ – დატვირთვების ქვეშ.

### მცველები

ამ პოზიციაზე სერიოზული პრობლემები გვაქვს: გურამ კაშია, ალეკო ამისულაშვილი, ლაშა დვალი, სოლომონ კვირკველია – ეს ცენტრალური მცველების ჩამონათვალია. აქედან სტაბილურად თამაშობს კაშია, ამისულაშვილი ასაკშია, ხოლო დვალი და კვირკველია ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან.

მართალია, კვირკველიას სათამაშო პრაქტიკა არ აკლია, მაგრამ სანაკრებო დონეზე ლიდერობის ტვირთი მისთვის ადრეა, ისევე როგორც დვალისთვის. ორივე მათგანი დასალვინებელია. თუმცა ერთ წელიწადში სხვა დონეზე უნდა გავიდნენ. ვნახოთ...

ნაკრებისთვის ყველაზე პრობლემატური მარჯვენა მცველის პოზიციაა. აქ პირველი ნომერი უჩა ლობჟანიძეა, რომელიც კვიპროსულ „ომონიაში" თამაშობს და სათამაშო პრაქტიკა აქვს, მაგრამ შეტევაში სიმწვავე აკლია, დაცვაში – სტაბილურობა.

ეს პოზიცია უნდა გაძლიერდეს, მაგრამ რესურსი მწირია. ამ მომენტში ჩანს ერთადერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი – ოთარ კაკაბაძე, რომელიც თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავს. ჩანს საქართველოს ჩემპიონატში, თორემ სანაკრებო დონე სხვა სიმაღლეა.

მარცხენა ფლანგზე გიორგი ნავალოვსკი გვყავს. თითქოს ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ შეტევაში უფრო აქტიური ჩანს, ვიდრე დაცვაში. სავარაუდოდ, კახა ცხადაძე 3 ცენტრალური მცველით ითამაშებს, რათა ნავალოვსკის ეს ხარვეზი შეივსოს.

პლუს საჭიროა ალტერნატივაც – ერთი ადგილით ერთ პოზიციაზე ფონს გასვლა ურთულესი იქნება. ვინ გვყავს მარჯვენა მცველები? ყველაზე გამოცდილი მაინც გიორგი ფოფხაძეა, რომელიც ალბანურ „ფლამურტარში" თამაშობს.

### ნახევარმცველები

ამ პოზიციაზე თითქოს პრობლემა არ უნდა გვქონდეს – ჯაბა კანკავა, ჯანო ანანიძე, ვაკო ყაზაიშვილი, ლევან ყენია, სანდრო კობახიძე, თორნიკე ოქრიაშვილი... ამ ფეხბურთელებს სანაკრებო პრაქტიკაც აქვთ და საკლუბოც. ერთადერთი გამონაკლისი ანანიძეა, რომელსაც მოსკოვის „სპარტაკში" სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლია, თუმცა შესაძლებელია შეცვლაზე შეყვანა.

ერთია, სწორედ ნახევარდაცვაშია საჭირო ლიდერი, რომელიც თავის თავზე ბევრს აიღებს. აი, ასეთი კი არ ჩანს.

ამავე პოზიციაზე მომავალიც ჩანს – გიორგი პაპუნაშვილი, რომელიც ახლახან ბუნდესლიგის „ვერდერის" ახალგაზრდულ გუნდში გადავიდა და მათე ცინცაძე თბილისის „დინამოდან".

აქვე შესაძლებელია რამდენიმე ისეთი ფეხბურთელის მოსინჯვა, რომელთაც ქართული ფესვები აქვთ და საქართველოს ნაკრებში არ უთამაშიათ.

მაგალითად: ბექა ვაჩიბერაძე, რომელიც გასულ წელს დონეცკის „შახტარის" ერთ-ერთი ლიდერი იყო და 19 წლამდე ჩემპიონთა ლიგის ფინალიც კი ითამაშა. ახლა ბექა ახალი გუნდის ძიებაშია, უფრო სწორად, წინადადებები აქვს ესპანური და გერმანული კლუბებიდან.

აკაკი გოგია – ინგლისის ჩემპიონატში მოასპარეზე „ბრენტფორდის" ფეხბურთელი. გერმანიაში გაზრდილი და იქაურ ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები. გარკვეული პერიოდი გოგია უარს ამბობდა საქართველოს ნაკრებში თამაშზე, მაგრამ ახლა უფრო აქეთ მოუწევს გული.

ლუკა ჰუფნაგელი – გერმანიის მე-2 ბუნდესლიგაში მოთამაშე „ფრაიბურგის" ნახევარმცველი. ქართული პასპორტის მქონე ჰუფნაგელს 17 და 19 წლამდე ასაკის ნაკრებებში 9 მატჩი აქვს ჩატარებული. მასზე დაკვირვება შეიძლება.

### თავდასხმა

ლევან მჭედლიძე, გიორგი ჭანტურია, მათე ვაწაძე... მეტს ამ დროისთვის ვერც ვიხსენებთ.

მჭედლიძე ერთადერთი ქართველია, რომელიც ევროპის ტოპლიგაში ბოლო წლებია თამაშობს, მაგრამ პრაქტიკა ცოტა აქვს. პლუს, მიდრეკილია ტრავმებისკენ. თუმცა, ამ დროისთვის ყველაზე რეალური ვარიანტია ამ დროისთვის და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მათე ვაწაძის „ორხუსი" დანიის სუპერლიგაში აღზევდა და საკმაოდ კარგადაც გამოიყურება. ამასთან, ვაწაძემ უკვე მოასწრო სამი გოლის გატანა. მჭედლიძისგან განსხვავებით, ვაწაძე უფრო დამამთავრებელ ფაზაში ირჯება, ლევანის შექმნაც შეუძლია.

ჭანტურია – არაორდინარული ხასიათის ფეხბურთელი, ნიჭისა და მაღალი ტექნიკის ნაზავის მქონე, მაგრამ მალე იღლება, აქვს ფიცხი ხასიათი, რაც ცუდად მოქმედებს მის კარიერაზე.

### მწვრთნელი

კახა ცხადაძეს გამოცდილება მეტ-ნაკლებად აქვს. მთავარია, გუნდში შეკრას ერთსულოვნება, ნაკრებმა ითამაშოს გუნდურად, ტაქტიკურად სწორად.

ერთია, ამ ყველაფერს ნაკრები მიუჩვეველია.

# სოლომონ კვირკველია: „შევეცდები, სწორი დასკვნები გავაკეთო"

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრალურმა მცველმა სოლომონ კვირკველიამ რუსულ მედიასთან ისაუბრა და განაცხადა, რომ ყაზანის „რუბინში" ლიდერობისთვის მზადაა.

***– თქვენთვის სეზონი ჯერჯერობით უიღბლოდ დაიწყო.***

– სამივე მატჩში, რომლებიც წავაგეთ, მინიმუმ, ფრედ შეგვეძლო დაგვემთავრებინა. გოლებს ბოლო წუთებზე ვუშვებდით. „სპარტაკთან" ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. თუმცა, ეს ფეხბურთია. გასული სეზონის სტარტზეც 3 თამაში წავაგეთ, მაგრამ საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გავედით, არადა, მეოთხეს დაკავებაც შეგვეძლო.

***– ლემოსზე რა აზრის ხართ?***

– ახალგაზრდა ფეხბურთელია, საკმაოდ კარგი. თავდაპირველად მისი სუსტი და ძლიერი მხარეები არ ვიცოდით, მაგრამ ის ფაქტი, რომ ურუგვაის ნაკრებში ითამაშა, ცოტას არ ნიშნავს. ვარჯიშებზე ერთად ვიმუშავებთ და, ვფიქრობ, „რუბინს" კარგი დაცვა ეყოლება.

***– ადრე დაცვაში მითითებებს ნავასი იძლეოდა. ახლა ამას თქვენ გააკეთებთ?***

– ვფიქრობ, მის მაგივრად ამის გაკეთება მომიწევს. მოედანზე ლიდერის როლისთვის მზად ვარ. ასეთ გუნდში სათამაშოდ მზად რომ არ ვიყო, მწვრთნელი არ მენდობოდა. თუმცა, ის მენდობა.

***– „ამკართან" მატჩში შეცდომა როგორ დაუშვით?***

– მსგავსი რამ ყველას შეიძლება შეემთხვას – ავტოგოლიც და წითელი ბარათიც. უბრალოდ, ასე მოხდა და ამის შესახებ მწვრთნელს ვესაუბრე. წითელი ბარათის მიღება ჩემი ბრალია და უფრო თავშეკავებული უნდა ვიყო. ემოციებს არ უნდა ავყვე და მესმის, რომ გუნდი დავალალატე. შევეცდები, სწორი დასკვნები გავაკეთო.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78. 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# აბანოთუბანში კიდევ ერთი აღმოჩენა გაკეთდა

არქეოლოგებმა აბანოთუბანში მორიგი უნიკალური აღმოჩენა გააკეთეს. აღმოჩენა დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებით თარიღდება. განახლებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად 2 ათასი წლის წინანდელი არტეფაქტებია ნაპოვნი. მათ შორისაა მინისა და კერამიკის ნიმუშები და მონეტები.

აბანოთუბანში, ქალაქ კალას მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაპოვნია ანტიკური ხანის უნიკალური აბანო, რომელიც ბუნებრივი თბილი წყლით მარაგდებოდა და დიდგვაროვნებისთვის იყო განკუთვნილი.

ამ ეტაპზე არქეოლოგები აღმოჩენილ ტერიტორიაზე ძირითადად გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებენ.

# აფხაზეთზე ახალ ფილმს იღებენ

რეჟისორი ვახტანგ ვარაზი ახალ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს. „დევნილი გემი ენგური" – ასე ჰქვია ფილმს. მასში მოთხრობილია ერთი გემის ისტორია, რომელმაც თავის დროზე მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

20 წლის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნების იმედი ბევრმა დევნილმა დაკარგა, მაგრამ ვახო და ლადო მაინც აგრძელებენ სახლში დაბრუნებაზე ოცნებას. ვახო გემ „ენგურის" ბოცმანია, ლადო კი – კაპიტანი. ისინი „ენგურს" თითქმის არასდროს ტოვებენ და მასთან ერთად ბერდებიან.

ლადოს გული აწუხებს, ვახოს – კუჭი, გემს კი – ჟანგი. თუ ვახო და ლადო გემის შესაკეთებლად თანხას ვერ იშოვიან, შესაძლოა, „ენგურმა" მორიგ ზამთარს ვერ გაუძლოს და ბოლო გადარჩენილი გემიც დავიწყებას მიეცეს.

ფილმი „დევნილი გემი ენგური" ამჟამად სამონტაჟო პერიოდშია და მასზე მუშაობა მალე დასრულდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# დუბაიში მამამ მაშველებს თავის ქალიშვილთან მიკარება აუკრძალა



დუბაის ერთ-ერთ პლაჟზე 20 წლის გოგონა მას შემდეგ დაიხრჩო, როდესაც მამამისმა დასახმარებლად მისულ მამაკაც მაშველებს მისთვის ხელის მოკიდებისა და ამით მისი „უმწიკვლობის" შებღალვის საშუალება არ მისცა.

როგორც დუბაის მაშველთა სამსახურის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კოლ აჰმედ ბურკიბამ პრესასთან საუბარში განაცხადა, აზიური წარმოშობის მამაკაცმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, დასვენების დღეების გასატარებლად მეუღლე და შვილები პლაჟზე მიიყვანა. ერთ-ერთმა ქალიშვილმა ბანაობა გადაწყვიტა, ამ დროს ის წყალში ჩაიძირა და იხრჩობოდა, შემთხვევის ადგილზე მისულ მაშველებს მამაკაცი გადაეღობა და განუცხადა, რომ უცხო მამაკაცებს მის ქალიშვილთან შეხების უფლებას არ მისცემდა და იქვე განმარტა, რომ ერჩივნა, შვილი მკვდარი ენახა, ვიდრე „უმწიკვლობადაკარგული".

ბურკიბას განმარტებით, იმის გამო, რომ მამაკაცი ათლეტური აღნაგობის იყო, მაშველებს დრო დასჭირდათ მისი წინააღმდეგობის დასაძლევად და გოგონას დასახმარებლად წყალში შესასვლელად, მაგრამ მასთან ბრძოლაში დაკარგული დროის გამო გოგონას გადარჩენა ველარ მოხერხდა.

დაღუპული გოგონას მამა სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის ბრალდებითაა დაკავებული. ის დუბაის სასამართლოს წინაშე წარდგება, ხოლო თუ რა სასჯელი ელის, უცნობია.

# სამხრეთკორეელებმა პოლ პუარეს მოდის სახლი შეიძინეს



სამხრეთკორეულმა კონგლომერატმა პოლ პუარეს ძველი ფრანგული მოდის სახლი შეიძინა. ეს სახლის გასაყიდად გამოტანიდან თითქმის ერთი წლისთავზე მოხდა. კომპანიის გეგმაშია, მოდის სახლის თანამედროვე მყიდველების მოთხოვნილებებს მოარგოს.

– ჩვენ მოუთმენლად ველით იმ მომენტს, როდესაც ერთად შევუდგებით მუშაობას, რათა ბრენდის თანამედროვე ვერსია შევქმნათ, – განაცხადა კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰაროლდ ჩოიმ.

ჯერჯერობით ამ გარიგების ღირებულება უცნობია.

# ტალი ლენოქსი პუძონში დახრჩობას გადაურჩა



ყოფილი მოდელი ტალი ლენოქსი მდინარე ჰუძონზე კაიაკით სეირნობის დროს გადაბრუნდა და წყალში აღმოჩნდა. გოგონა იმ დროს გვერდით ჩავლილი ნავის მგზავრებმა გადაარჩინეს, ხოლო მისი საქმრო, ფოტოგრაფი იან ჯონსი, ჯერჯერობით ისევ დაკარგულად ითვლება.

ინციდენტი ქალაქ სტრასბურგის მახლობლად მოხდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, შემთხვევის დროს არც ლენოქსსა და არც ჯონსს სამაშველო ჟილეტები არ ეცვათ.

– ისინი 15-20 წუთის განმავლობაში ერთად იყვნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დინებამ დააშორა, – განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ოლქის შერიფის კანცელარიის წარმომადგენელმა ჯონ უოტერსონმა.

ტალი ლენოქსი შოტლანდიელი მომღერლის ენი ლენოქსის უმცროსი ქალიშვილია. ის 2014 წლამდე მოდელად მუშაობდა, ხოლო სამოდელო კარიერის დასრულების შემდეგ მხატვარი გახდა. თავის შეყვარებულ ჯონს რამდენიმე წლის განმავლობაში ხვდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# „თქვენ ლამაზი თმა გაქვთ"



სამწუხაროდ, ასეთი ქათინაური იშვიათად გვესმის. რატომ? მიზეზი ბევრია. აბა დავფიქრდეთ, სწორად ვიბანთ თავს? ეს ხომ ერთადერთი მთავარი პროცედურაა თმის მოვლისათვის. თმის სწორად დაბანა აუმჯობესებს კანის სისხლის მიმოქცევას. ხშირად და შეიძლება სისტემატიურად თავის დასაბანად იყენებთ ცხელ წყალს და ჩვეულებრივ შამპუნს? ამის შემდეგ თმა და თავის კანი მშრალი, თმები დაბინდული და სუსტი ხდება, თმის ბოლოები ორად იყოფა, იმტვრევიან, წარმოიშობა ქერტლი და თავის კანის ქავილი. გარდა ამისა, ცხელი წყლისგან ძლიერდება თმების ცხიმიანობა.

ყველაზე დადებითი საშუალება თმის დასაბანად წვიმის, თოვლის ან სასიამოვნოდ თბილი (და არა ძალიან ცხელი) წყალია.

ხისტ წყალს არბილებენ ხანგრძლივი დუღილით და ორი ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტის, ორი ჩაის კოვზი გლიცერინის და ორი ლიტრი წყლის ნაერთით.

კარგია თმის გაშლა ორთქლზე, სპეციალური თხიერი ზეთის წასმა, შემდეგ კი პირსახოცით შემშრალება. დადებით შედეგს იძლევა დაბანის შემდეგ გვირილის, ჭინჭრის, ოროვანდის არყის ხის ფოთლების, ცაცხვის ყვავილის ნახარშის გადავლება (ორი სუფრის კოვზი დაჭრილი ბალახი ჭიქა წყალზე).

ცხიმიან თმაზე შეგიძლიათ გადაივლოთ მაგარი ჩაის ნაყენი ან მუხის ფესვების, ჭინჭრის და კრაზანას ნახარში. მშრალ თმაზე ბაბუაწვერას, სალბის, მრავალძარღვას ნახარშის გადავლებას გირჩევთ (ერთი სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ბალახეული, ერთი ჭიქა წყალზე).

თუ თმის შეღებვისას შეცდომის ან ხანგრძლივად მზეზე ყოფნის გამო გამოიფიტა თმა, ნუ დაღონდებით, საქმის გამოსწორება შეიძლება, მიიღეთ ბე ვიტამინი, თმის ბოლოები ფრთხილად შეიჭერით, თავის კანზე ყოველდღიურად შეიზილეთ ძირკავა და ერთი ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი და ორი ჩაის კოვზი ლიმონის წვენის ან არყის ხის ფოთლების ნაერთი.

თუ ხვალისთვის გადაწყვიტეთ თავის დაბანა, დღეს საღამოს გაიკეთეთ ასეთი შემადგენლობის ნაერთი: სუფრის კოვზი მაიონეზი, ჩაის კოვზი თაფლი და ორი კბილი ნიორი. დაბანის შემდეგ თმებზე გადაივლეთ ჯინჭრის ნაყენი (500 გრამი ჯინჭარი მოხარშეთ ნახევარ ლიტრ წყალში).

ეს მშრალი თმებისთვის, ხოლო ცხიმიანი თმის შემთხვევაში დაბანამდე 30 წუთით ადრე თავზე შეიზილეთ ჩაის კოვზი თაფლი, ამდენივე რაოდენობის ალოეს, ლიმონის წვენისა და ერთი კბილი ნიორის, კვერცხის გულის ნარევი. ცხიმიან სებორეას ასე უმკურნალეთ: ბაბუაწვერას, ცირცელის და პიტნის ნედლი ფოთლები დასრისეთ და შეიზილეთ თავის კანზე. ქერტლის საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ სპეციალური კრემები და სითხეები. თუ თქვენ შეასრულებთ ჩვენს რჩევებს, მოკლე დროში გაიგონებთ თქვენთვის ესოდენ სასურველ ქათინაურს: „თქვენ ლამაზი თმა გაქვთ".

# მკურნალი მცენარე



**სამყურა** – მრავალწლიანი, 35 სანტიმეტრამდე სიმაღლის, ხასხასა მწვანე ბალახოვანი მცენარეა. ივითარებს გრძელ და მსხვილ, ხორცოვან მხოხავ ფესვებს, რომელიც შეიცავს აზოტმშთანთქმელ ბაქტერიებს. ჰყვავის მაის-ივნისში. ყვავილი მკრთალი ვარდისფერია, ყვავილის მომცემ ღეროს ფოთლები არ აქვს.

იზრდება ჩვენი ქვეყნის ჭაობიან და ნესტიან ადგილებში. საქართველოში ძირითადად კოლხეთის დაბლობზე და სხვა ადგილებშიც ხარობს. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს სამყურას ფოთლები, რომელთაც აგროვებენ მშრალ ამინდში, ყვავილობის პერიოდში ან დაყვავილების შემდეგ (როცა ფოთოლი ზრდადასრულებულია). აშრობენ სხვენში ან 45-60 გრადუს ტემპერატურაზე საშრობ კარადებში. ქორფა ფოთლების მოკრეფა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ისინი გაშრობისას შავდება.

ნედლეულის შენახვის ვადა 2 წელია. სამყურას ფოთლები შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს: გლუკოზიდებს, საპონინებს, ალკალოიდ გენციანინს, დეზოქსილოგანინს, ბოლინს, მღებავ ნივთიერება ინულინს, ცხიმოვან ზეთს და სხვ. მედიცინაში გამოიყენება, როგორც მადისმომგვრელი, ანტისეპტიკური, შარდმდენი და კუჭის შეკრულობის საწინააღმდეგო საშუალება. ხმარობენ გასტრიტების დროს, როცა დაქვეითებულია მჟავიანობა.

იგი აძლიერებს აგრეთვე კუჭის სეკრეციას და საკვების გადამუშავების პროცესს. გამოიყენება ღვიძლისა და სანაღვლე გზების დაავადების, ცისტიტის დროს და სხვ. სამყურას ფოთლები შედის მადისმომგვრელი, ნაღვლის დამდენი და დამამშვიდებელი მცენარეული ნაკრებების შემადგენლობაში. ოჯახურ პირობებში სამყურას ფოთლებიდან წამალი ასეთი სახით უნდა დავამზადოთ: ერთი სუფრის კოვზ დაწვრილმანებულ ნედლეულს მომინანქრებულ ჭურჭელში დავასხათ ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დავახუროთ და ჭურჭელი ჩავდგათ 15 წუთით მდუღარე წყლიან ქვაბში, გავაცივოთ ოთახის ტემპერატურაზე, გავწუროთ.

მონაცემის მოცულობა ნადუღი წყლით შევავსოთ ჩაის ჭიქამდე და მივიღოთ ერთი მესამედი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე. სამყურას ფოთლები შეგიძლიათ შეიძინოთ აფთიაქებში.

# ასტროპროგნოზი

## 12 აგვისტოსათვის



**ვერძი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი პრობლემები ჩნდება. საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ და შეეცადეთ, ნაკლოვანებები გამოისწოროთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **კურო** – დღეს დაუმთავრებელ საქმეებს მიხედეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – ყოველგვარი კონტაქტი მინიმუმამდე დაიყვანეთ. ყველა შეხვედრა გადადეთ. მოსალოდნელია არაკეთილმოსურნე ადამიანთა ნეგატიური ზეგავლენა. **კირჩხიბი** – დღევანდელი დღე საშინაო საქმეების მოგვარებას დაუთმ‌ეთ. საღამო საკუთარ თავს მიუძღვენით, დაისვენეთ და მაქსიმალურად გაერთეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ეჭვიანი. ეცადეთ, თქვენი ღირსებები მთელი სისრულით წარმოაჩინოთ. პარტნიორის თავისუფლების შეზღუდვას ნურც იფიქრებთ. **ქალწული** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ სასიამოვნო ამბებზე იფიქრეთ. დღეს ფიზიკური დატვირთვა საჭირო არ არის. **სასწორი** – წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. შესაფერისი დღეა ნებისმიერი კომერციული საქმიანობისათვის. იყავით კეთილგონიერი და ტაქტიანი. **მორიელი** – ეცადეთ, სახლში მყუდრო გარემო შექმნათ. ენერგეტიკული პოტენციალი იზრდება. ხვალინდელი დღის რწმენა გიძლიერდებათ. **მშვილდოსანი** – ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ და თქვენც იოლად ნურავის მიენდობით. შესაძლოა, მოტყუებული აღმოჩნდეთ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თხის რქა** – ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. გარშემომყოფებს თქვენს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლებას ნუ მისცემთ. **მერწყული** – ოჯახში პრობლემები იჩენს თავს, რომელთა მოსაგვარებლად კეთილგონიერება და სიბრძნეა საჭირო. საღამოს თუ განმარტოვდებით, სულიერ ძალებს მოიკრებთ. **თევზები** – სამოგზაუროდ წასასვლელად მშვენიერი დღეა. დაისვენეთ, გაერთეთ, ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 6. გარკვეული ნიშნით შერჩეულ საგანთა ჩამონათვალი, ნუსხა; 8. ნახევარკუნძული შავ ზღვაში; 11. უბანი თბილისში; 12. ძველი ირანული სალიტერატურო ენა; 16. კუთხე საქართველოში; 17. მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებების ადგილი; 18. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 7. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ქრისტიანული სამლოცველო, საყდარი; 10. მარცვლეულის, საქონლის, ხელსაქმის მფარველი ქალ-ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 14. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 15. ბებერი თხა; 19. ობობის ძველი ქართული სახელწოდება; 20. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 21. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 22. მოღრუბლული დილა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩანადირი; 2. „ზანდური"; 3. სიმდი; 4. კარწახი; 5. ჩარხილი; 10. ხეჭეჭური; 11. ბათიაშვილი; 12. პროექტი; 15. დრომადერი; 16. კრუპიე; 17. კაპრიზი; 20. კასიო.

**თარაზულად:** 6. ჟანდარმერია; 7. კანკანი; 8. ბაიდარა; 9. დინარი; 13. პიკე; 14. „ნადური"; 18. სერვოლანი; 19. ტარტუ; 21. იანძი; 22. ლევილი; 23. მინაშვილი; 24. ბრისტოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წალამი; 2. ქულამა; 3. სპარინგი; 4. მიტენი; 6. „ბარახასი"; 8. დრეიფი; 11. მარტვილი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. დაიმი.

**თარაზულად:** 1. წირქოლი; 5. „სააბი"; 7. ოპუნცია; 9. აზნაური; 10. მეოტიდა; 13. ფარგალი; 14. იანუსი; 15. „პუმა"; 19. ჩარხილი; 20. „საფერავი"; 21. გარპაგონი; 22. ბინომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახუშტი კოტეტიშვილი 80 წლის გახდებოდა

მწერალი, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ირანისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მთარგმნელი, პროფესორი და ლიტერატურათმცოდნე ვახუშტი კოტეტიშვილი წელს 80 წლის გახდებოდა. მისი იუბილე აგვისტოს ცხელ დღეს მის საფლავზე გასვლითა და გვირგვინით შემკობით აღინიშნა.

ქართველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მის მიერ გამართული ხალხური პოეზიის საღამოები XX საუკუნის 80-იან წლებში. მოგვიანებით ამ საღამოებს ვახუშტი კოტეტიშვილის სახელი ეწოდა.

ვახუშტი კოტეტიშვილი იყო იუნესკოს ფოლკლორული ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრის თავმჯდომარე, საქართველო-აზერბაიჯანის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, ფოლკლორისტულ კლუბ „ჯავარის“ პრეზიდენტი.



ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საბა“. იყო საფრანგეთისა და ავსტრიის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. ირანის სამთავრობო კომისიამ იგი ირანულიდან ექვს საუკეთესო მთარგმნელთა შორის დაასახელა და სამთავრობო სიგელით დააჯილდოვა.

# საერთაშორისო კონკურსში კიდევ ერთი ქართული წიგნი მონაწილეობს

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საერთაშორისო კონკურსზე გოგლა ლეონიძის „ნატვრის ხის“ შემდეგ გიორგი კეკელიძის „გურული დღიურებიც“ მოხვდა. ორივე წიგნი მონაწილეობს საუკეთესო დიზაინის კონკურსში, რომლის გამარჯვებულიც ოქტომბერში გამოვლინდება ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე და მისთვის ხმის მიცემა ნებისმიერი მსურველისთვის არის შესაძლებელი.

ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ავრცელებს:

– მხარი დავუჭიროთ გიორგი კეკელიძის „გურულ დღიურებს“, რომელიც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობს. ხმის მიცემა ხდება იასამნისფერ პეპელაზე დაჭერით.

წიგნის ავტორი გიორგი კეკელიძე ამბობს, რომ ეს მისთვის კიდევ ერთი დიდი წარმატებაა:

– მეგობრებო, აქ საქმე იმდენად მე არ მეხება, რამდენადაც ძალიან ნიჭიერ მხატვარ ნატა ავალიანს. ამიტომაც თამამად გთხოვთ დახმარებას. „გურული დღიურების“ გარეკანის დიზაინი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის კონკურსზეა წარდგენილი. თუ, ცხადია, მოგწონთ, დააჭირეთ პატარა იასამნისფერ პეპელას.

# ნიკა ნიკვაშვილმა ოცნება აისრულა

რუსეთში მოღვაწე ქართველმა პიანისტმა ნიკა ნიკვაშვილმა ოცნება აისრულა და ევროპული განათლების მიღების შანსი მიეცა. ის პარიზის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. ნიკა ნიკვაშვილი წლებია, რუსეთში ცხოვრობს და მანანა მენაბდესთან, ინგა ფერაძესთან, მანანა თოდაძესთან და რუსეთში მცხოვრებ სხვა ქართველ ხელოვანებთან აქტიურად თანამშრომლობს. მან მოსკოვში თავისი კლიპის პრეზენტაციაც გამართა, სადაც პარიზიდან სპეციალურად ჩავიდა ჯაბა ქარსელაძე. თბილისში კი ნიკა ნიკვაშვილმა მონაწილეობა მიიღო მანანა მენაბდისა და ინგა ფერაძის კონცერტებში.



ცნობილ ქართველ კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის სტუდენტი თბილისის კონსერვატორიაში სწავლის შემდეგ რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობდა, სადაც სურდა კიდევ სწავლის გაგრძელება, რაც ვეღარ მოხერხდა. სამაგიეროდ, ნიკას შანსი მიეცა, ევროპული განათლება მიიღოს და ის პარიზის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. ამაში პიანისტს პარიზში მცხოვრები ქართველი ხელოვანები ჯაბა ქარსელაძე, ელგა ფორჩხიძე, ნონა ჯავახიძე და მაია გოქსაძე დაეხმარნენ. ისწავლის თუ არა სხვა ქართველიც პარიზის კონსერვატორიაში ნიკასთან ერთად, ჯერჯერობით უცნობია.

## სამგლოვიარო განცხადებები

სამძიმარს ვუცხადებთ მაია არჩემაშვილს მეუღლის,

**სულხან ჩხიკვიშვილის**

გარდაცვალების გამო.

„ახალი თაობის“ რედაქცია

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ ინგლისურად ითარგმნა

ცნობილი ქართველი მწერლისა და სცენარისტის ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ ინგლისურად ითარგმნა. ინფორმაცია ამის შესახებ გამომცემლობა „სიესტამ“ გაავრცელა:

– სიხარულით გაცნობებთ, რომ ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“, მიხეილ კაკაბაძის შესანიშნავი ინგლისური თარგმანით, ჩვენმა კოლეგამ, დალკი არქივის გამომცემლობამ „ქართული ლიტერატურის სერიის“ ფარგლებში გამოსცა.

მწერალმა და კინოდრამატურგმა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, უმაღლესი სასცენარო კურსები კი მოსკოვში გაიარა. სხვადასხვა წლებში იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორი, საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის მხატვრული ტელეფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი, „ქართულ ფილმთან“ არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი, სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი, თეატრალური ინსტიტუტის სასცენარო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი. ავტორია წიგნებისა „ზარმაცი თაგუნას ამბავი“, „ვანო და ნიკო“. მისი ნაწარმოებები თარგმნილია და გამოქვეყნებულია რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ, თურქულ და არაბულ ენებზე.




ერლომ ახვლედიანის შემოქმედებაზე არაერთი ცნობილი ქართული ფილმია გადაღებული: „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ფიროსმანი“, „უსახელო უფლისციხელი“. ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ერლომ ახვლედიანის შემოქმედების მიხედვით გადაიღეს. შემოქმედმა გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ საუკეთესო რომანისთვის „კოლო ქალაქში“. ერლომ ახვლედიანი 79 წლის ასაკში სამი წლის წინ გარდაიცვალა.

# ქართველი კარიკატურისტი მეორე ადგილზე გავიდა





ქართველი მხატვარი და კარიკატურისტი ბესიკ დულაშვილი კარიკატურისტთა საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილზე გავიდა. მხატვარმა მონაწილეობა მიიღო ვიტიგრაფის კონკურსში, რომელიც მსოფლიო კარიკატურისტებს აერთიანებს. 13-მა კარიკატურისტმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ცნობილი ამერიკელი მსახიობის ტომ სავინის კარიკატურა შექმნა.

ჟიურისა და ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, პირველ ადგილზე ამერიკელი კარიკატურისტი გავიდა, მეორე ადგილი ქართველს ერგო, მესამე საპრიზო ადგილი კი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დაიკავა.



ინფორმაცია გამარჯვების შესახებ ბესიკ დულაშვილმა თავად გაავრცელა:

– ამ ეტაპზე მაპატიეთ, მხოლოდ მეორე ადგილი ავიღე!

ბესიკ დულაშვილი სისტემატურად მონაწილეობს ვიტიგრაფის კონკურსში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კარიკატურისტები არიან გაერთიანებული. სწორედ მისი ინიციატივით ვიტიგრაფის ერთ-ერთი საკონკურსო ტური ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენელს სერგო ზაქარიაძეს მიეძღვნა, სადაც ქართველმა კარიკატურისტებმა ბესიკ დულაშვილმა და კემომ პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

# რა აშფოთებს გოგი გვახარიას?



კინომცოდნე გოგი გვახარია საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს აფასებს და კულტურული აქტიურობის არქონაზე ჩივის.

**გოგი გვახარია:**

– ქალაქი, სადაც ყველაფერი დახურულია, არც თეატრი მუშაობს, არც ოპერა. სადაც ის ვერ მოახერხეს, რომ რუსულ ენაზე არ უჩვენონ ფილმები, სადაც კლუბებთან ხალხს „აფსმევინებენ“, ქვეყანა, სადაც ოპოზიციური ტელეარხის უფასო კონცერტი დიდ კულტურულ მოვლენად ითვლება, რადგან რეგიონებში აღარავინ ჩადის და არაფერი ხდება. მოსაწყენი და უღიმღამო ქვეყანა, სადაც ხეც აღარ გვაქვს, ჩრდილში რომ დაჯდე და ჰაერი ისუნთქო. რაღა დარჩა ადამიანს? უყუროს ტელევიზორს. ცხადია, ვერ აიტანს, ისიც თუ დაუხურეს და დაუყადაღეს.

# ბატონის ციხის რეაბილიტაციაზე 1.573.000 დაიხარჯება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თელავში ბატონის ციხე-სასახლის რეაბილიტაციას ახორციელებს.

ბატონის ციხის რეაბილიტაციის პარალელურად, ფონდმა უკვე გამოაცხადა ტენდერი ბატონის ციხის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. რეგიონული განვითარების პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1.573.000 ლარია.

პროექტის განხორციელების ძირითადი მიზანი ძეგლისთვის პირვანდელი იერსახის შენარჩუნებაა. ამასთან, პროექტი მიზნად ისახავს კახეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სამარშრუტო წრედისა და ტურიზმის განვითარებას. ბატონის სასახლეს რესტავრაცია ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა, მაგრამ რიგ შემთხვევაში არ იყო გამოყენებული ის მასალები, რომლებიც სასახლის მშენებლობის პერიოდში, არ იყო დაცული რესტავრაციის საერთაშორისო სტანდარტებით. სწორედ ამიტომ მოხდა არსებული პროექტის კორექტირება, რათა სრულად იქნეს დაცული ყველა შესაბამისი სტანდარტი და ძეგლის იერსახე არ დაირღვეს.

კორექტირებული პროექტი მოიცავს სასახლის სახურავის თაღის ავთენტურობის შენარჩუნებას, კედლების გასალესად გაჯის ნაცვლად გამოყენებული იქნება კირი, რადგან შენობაზე არსებული არტეფაქტები ადასტურებს, რომ თავდაპირველად სასახლის მშენებლობისას კედლების გასალესად სწორედ კირის მასალა იქნა გამოყენებული, ბატონის სასახლის სწორად რეაბილიტაციისთვის ზემოთ აღნიშნული ყველა დეტალის გათვალისწინება აუცილებელი ფაქტორია. დაშვებული შეცდომებისა და ზემოთ აღნიშნული საკითხების გამოსასწორებლად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სასახლის რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებისას ჩაერთო ყველა მხარე, რათა პროექტი გამართული ყოფილიყო. პროექტში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოხდა ცვლილებების შეტანა, შენობაში საგამოფენო სივრცის დამატება, გამწვანება და ბეტონის ორნამენტების ქვევრის ტიპის ორნამენტებით შეცვლა. კორექტირებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ბატონის ციხის სრული რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროექტი ფონდმა კულტურულ მემკვიდრეობის სააგენტოსთან შეთანხმებით მოამზადა.

ბატონის სასახლე დაფუძნდა და თავდაპირველი, სამეფო რეზიდენციის დანიშნულებით ფუნქციონირებდა ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ რთულ პერიოდში, XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან 1801 წლამდე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 12 აგვისტო

08.00 ან/ფ "ანიმალია" 09.00 "ეს საქართველოა" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "ქართ. დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. **"კონკორდი 79"** (ა.დელონი) 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 21.30 მხ/ფ. **"ელისაბედი"** (კ.ბლანშეტი) 23.30 მხ/ფ. **"მიწისძვრა"** (ა.გარდნერი) 01.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"ლოს ანჯელესის პოლიცია"** 11.00 დ/ფ "სუფრაჟისტები" 12.00 დ/ფ "რობინ ორლენი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" 13.30 დ/ფ "ავსტრალია" 16.00 დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" 18.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლო ვულკანთან" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა – ოქროს ბიჭები 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ **"მერკური საფრთხეშია"** (ბ.უილისი)

08.00 სერ. **"მერლინი"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"კარმა"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, ქრონიკა 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 სტუმრად იუმორინასთან 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სისოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–2"** 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ **"თითქმის გათხოვილი"** (ჯ.პ.კენედი) 01.20 მხ/ფ **"გრეისი"** (დ.მალრუნი) 02.55 სერ. **"დედამიწის ბურჯები"** 1 სერ. 03.55 მხ/ფ **"წლის საუკეთესო მასწავლებელი"**

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გრძელი, ნათელი დღეები"** 23.30 დოკ.ფილმი "UKRAINETHE UNSEEN ATTACKS" 00.00 სერ. **"გრიმი"** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.10 თვენი 07.30 ჩვენი ფონდი "ოსთა მიგრაცია შიდა ქართლის მთიანეთში". გვანცელაძე 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ.ფილმი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება "ხატმებრძოლეობა და ქრისტიანული ხელოვნება" 11.15 ბავშვები მუზეუმში 11.35 დოკ. ფ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი III ნაწ 12.10 ღია აუდიტორია-"ნიკოლოზ ახალკაცი" 1 ნაწ 13.00 ისტორიის გაკვეთილი გად. "დაკარგული ტერიტორიები-ბეჟან ხორავა 13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-ეროვნული პარკის ცხოველთა სამყარო 14.00 დოკ. ფ. "ბარტ ვულფი" 14.30 ქრისტიანული სწავლება 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი 16.20 დოკ.ფილ. 16.50 კვირიაკე 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო "ჯვრისა და ხატის კურთხევა" 18.10 მულტ. ფილმი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"განგაში"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია "ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ" 21.35 ეპოქის სახელები "იური ანუა" I ნაწ 22.25 ქართული ალბომი "ჯანდიერები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "ფეტვიაშვილი" 23.35 დოკ. ფ. ხომლი-ფშავ-ხევსურეთი IV ნაწ 00.30 დოკ. ფ.

მაესტრო 7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია **"ყოჩაღი ბიჭები"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფ "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 00.30 **სერიალი "კარმა"** 02.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3024

ევრო — 2.5174

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5607

100 რუსული რუბლი — 3.5823

## ამინდის პროგნოზი 12 აგვისტოსათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა



კალეიდოსკოპი

## პრინც ჩარლზისა და დიანას ქორწილის სურათები აუქციონზე გაიყიდება



1981 წლის 29 ივლისს პრინც ჩარლზისა და ლედი დიანა სპენსერის ქორწილში გადაღებული პირადი კოლექციის ფოტოსურათები აშშ-ში აუქციონზე გაიყიდება. აღნიშნული კოლექცია ლორდ პატრიკ ლიჩფილდის, ელისაბედ II-ის ბიძაშვილის თანაშემწეს ეკუთვნოდა, რომელიც ჯვრისწერის დროს ფოტოგრაფის მოვალეობას ასრულებდა.

სურათების კოლექცია 14 ფოტოსურათისგან შედგება, რომელზეც სამეფო ოჯახი ბუკინგემის სასახლეში წვეულების დროს არაოფიციალურ ვითარებაში ყოფნის დროსაა აღბეჭდილი. ერთ-ერთი სურათი კი იმ დროს არის გადაღებული, როდესაც ახლად შეუღლებულები ხალხის მისასალმებლად სასახლის აივანზე არიან გასული.

აღსანიშნავია, რომ ეს ფოტოსურათები აქამდე არათუ დაბეჭდილა, საქორწინო ალბომშიც კი არ ყოფილა შეტანილი, რომელიც პრინცმა ჩარლზმა პრინცესა დიანას აჩუქა.

თითოეული ფოტოსურათის ფასი ათასიდან 2 ათას დოლარამდე მერყეობს. აუქციონი 24 სექტემბერს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში გაიმართება.

## ჰასკიმ სელფი გადაიღო



მოგზაურები და ფოტოგრაფები სტივო დირნბერგერი და შანელ კარტელი ჰასკის ჯიშის ძაღლებს ნორვეგიაში სელფის გადაღებაში დაეხმარნენ. ამის შესახებ ადგილობრივი პრესა იტყობინება.

– ყოველი ძაღლი საკუთარი უნიკალური ინდივიდუალურობით გამოირჩეოდა, – განაცხადა კარტელმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრის დროს. მისი თქმით, მათ სურდათ, ჰასკების ისეთი პორტრეტები შეექმნათ, რომ ამით ყოველი ცხოველის განსაკუთრებულობა გადმოეცათ.

ჰასკებთან დასაახლოებლად კარტელსა და დირნბერგერს გარკვეული დრო დასჭირდათ.

– შემდეგ მათ ჩვენ გარშემო ხტუნვისა და ჩვენთან ჩახუტების საშუალება მივეცით, – განაცხადა კარტელმა და იქვე დაამატა, რომ სწორედ ასეთ მომენტებში აღებინებდნენ ცხოველებს სურათებს. მათი უმრავლესობა არ გამოვიდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორიც მათ ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული.

## უზბეკურმა ავიაკომპანიამ მგზავრების აწონა დაიწყო

ავიაკომპანია „უზბეკისტონ ხავო იულარიმ“, რომელიც, ადგილობრივის გარდა, რამდენიმე საერთაშორისო რეისსაც ასრულებს, თვითმფრინავში ჩასხდომის წინ თავისი მგზავრების აწონა დაიწყო, რათა ხელბარგთან ერთად მგზავრის საშუალო წონა დადგინდეს. ამ ინფორმაციას ავიაკომპანიის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ეს პროცედურა საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მოთხოვნების შესაბამისად იქნა შემოღებული, რომლის თანახმადაც, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უნდა განხორციელდეს მგზავრისა და მისი ხელბარგის აწონა.

აწონის პროცედურა მგზავრის მიერ რეისზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ განხორციელდება. სასწორი ჩასაჯდომი ზოლის გასასვლელშია დადგმული. პროცედურის შედეგები სარეგისტრაციო ფურცელში იწერება, თუმცა, ამავე დროს, მასში პერსონალური ინფორმაციები არ შედის. მხოლოდ მითითებულია მგზავრის კატეგორია (მამაკაცი, ქალი ან ბავშვი).




მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## 16-წლამდელთა ნაკრები ნახევარფინალისთვის ბრძოლას აგრძელებს




საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლა ოფიციალურად გაიფორმა. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის ჯგუფური ეტაპი ბოლო ტურში ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ბელარუსი გაანადგურა და დაუმარცხებელი ბელგიის უკან ჯგუფში მეორე, გამსვლელი ადგილი დაიკავა.

ქართველებმა მხოლოდ ხსენებულ ბელგიასთან ტურნირის პირველი მატჩი წააგეს, რომლის შემდეგაც ერთმანეთის მიყოლებით სძლიეს შვეიცარიას, ლუქსემბურგს, უნგრეთსა და ბელარუსს. ამ უკანასკნელმა ქართველებთან მატჩამდე ოთხივე შეხვედრა წააგო და, ქართველებისთვის რომც მოეგო, ჩერქეზიშვილის გუნდს ჯგუფში მაინც ვერ ტოვებდა. ეს არც მოხდებოდა, რადგან საქართველოსა და ბელარუსს შორის კლასში უდიდესი სხვაობაა და ეს მატჩის შედეგმაც დაადასტურა – 85:58.

საქართველოს ნაკრებმა, რომ იტყვიან, ვარჯიშ-ვარჯიშ გაიმარჯვა. მას შემდეგ, რაც ბოლო ტურის პირველ მატჩში ბელგიამ ლუქსემბურგს სძლია, ქართველებმა ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს, ამიტომ ბელარუსთან მატჩის შედეგს აზრი დაეკარგა და შეხვედრაც ქართველებმა მართლაც სავარჯიშოდ გამოიყენეს. მომავალი, უფრო პრინციპული მატჩებისთვის ჩერქეზიშვილმა მოთამაშეების ნაწილი დაასვენა და მოედანზე ხანგრძლივად არ გაუყვანია.

ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გოგა ბითაძემ მხოლოდ 18 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 17 ქულის მოგროვება მოასწრო. 16 წუთში 15 ქულა მიითვალა აკაკი ფიფიამ, ხოლო ყველაზე მეტ ხანს – 24 წუთი მოუწია თამაშმა ნიკა მეცხვარიშვილს, რომელმაც პირად ანგარიშზე 10 ქულა და 15 მოხსნა ჩაიწერა.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები ჯგუფიდან გავიდა და მეორე ეტაპზე ესტონეთთან და შვედეთთან მოუწევს თამაში. ახალი ჯგუფის მეოთხე მონაწილე ბელგიაა, რომელთან პირველ ტურში წაგებაც ქართველებს მეორე ეტაპზე გადაჰყვათ. თუკი ქართველები საუკეთესო 2 გუნდს შორის მოხვდებიან, ნახევარფინალში გავლენ, არადა, ტურნირს 5-8 ადგილებისთვის ბრძოლით დაასრულებენ.

მოამზადა მიხეილ ღორჯოლიანმა

## ზუმბა: „რაღა „სირად“ გინდა ან სამშობლო, ან ევროპა?!“



მომღერალი და მუსიკოსი ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა, ქართველებს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს და სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადებასაც ავრცელებს.

**ზუმბა:**

„ისე, პრინციპში, ჩვენთვის რომ ვთქვათ, რა დროს რუსთავი 2-ია?!

როცა შენთვის მთელი ქვეყანა საკუთარი სახლის კართან მთავრდება...

როცა მე ვიყო კარგად, ერთი დანარჩენის დედაც...

როცა ტონობით ღვინოს გააფუჭებ იმის გამო, რომ გადაღების დროს „შლანგს“ და ჭურჭელს არ გარეცხავ და ტუალეტიდან გამოსული ხელებსაც არ დაიბან...

როცა ათიათასობით ფულს დახარჯავ და ახლად გახსნილ რესტორანს კომფორტულ ტუალეტს არ გაუკეთებ...

როცა სისუფთავის მოთხოვნილება არ გაქვს და დაბანაც გეზარება...

როცა „ქართულ“ ცოლქმრობაში ორგაზმს აზრი არ აქვს და სექსი მხოლოდ გამრავლების იარაღია და არა ტრფობის და სიყვარულის...

როცა სახლში ღამის სამ საათზე გამომტყვრალი მოსული ბოლო ხმაზე დაიღრიალებ, ბავშვი გაალვიძეთ, მე უნდა დავაძინო, თქვენი დედა...

როცა იმდენად ამაყი და ამპარტავანი ხარ, რომ შეცდომებს ვერ აღიარებ...

როცა შენი სიცოცხლისთვის დაღუპული გმირები არ გახსოვს...

როცა მაიტა ერთი ჩემი ბალი დამაკრეფინა და ეგდოს ეს ოკუპანტია თუ ვილაცაა, რას მიშავებსო...

როცა საკუთარ დედას გინებით ყველა ბრუნვაში მოიხსენიებ...

რაღა „სირად“ გინდა ან სამშობლო, ან ევროპა?!...

**პ.ს.** ნაგავზე, სიგნალებზე, ქართულ ესტრადაზე, ქუჩის აკადემიაზე და კიდევ ბევრ რამეზე რომ აღარ ვილაპარაკოთ!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ცოლი ქართულ ფეხბურთს მადარებს.

– ვაა, მაგარია! ისეთივე მოქნილი და ცეცხლოვანი...

– რა ცეცხლოვანი, რას უბერავ! ოცი წელია, არც კვდები და არც რჩებიო...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვი, ამ მოკრივეს რად უნდა ამხელა კონტაქტური ლინზები?

– ეგენი ორთაბრძოლის დაწყებამდე სათვალე იყო...

●●●

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– აბა, ბავშვებო, მიპასუხეთ, რა პროფესიის არიან თქვენი მშობლები, სად მუშაობენ და გყოფნით შემოსავალი?

– დედაჩემი მეძავია და მისი შემოსავალი თავისუფლად გვყოფნის, – უპასუხებს ერთი მოსწავლე.

– მამაჩემი საგზაო პატრულია და შემოსავალი გვყოფნის, – უპასუხებს მეორე.

– მამაჩემი დისტრიბუტორია და ჩვენც გვეყოფოდა მისი შემოსავალი, ამის მეძავი დედა და ამის გზის ყაჩაღი მამა რომ არა...

●●●

ხალხით სავსე ავტობუსში:

– ბიძია, ამსისქე კურტკა რომ გაცვია, გაიხადე, ვერ ხედავ, ფეხზე დასადგომი ადგილი აღარ არის?

– შარვალიც ხომ არ გავიხადო და ხელის მოსაკიდიც გექნებოდათ...

●●●

ცოლი სარკეში საკუთარ თავს ათვალიერებს და უკმაყოფილო სახით ქმარს გასძახებს:

– საშინლად გამოვიყურები, დავბერდი და გავსუქდი... შენი კომპლიმენტი გულს გამიხალისებდა...

– ჯერჯერობით კარგი მხედველობა მაქვს... – უპასუხა ქმარმა.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– მთელი ჩვენი სოფელი სოკოთი მოიწამლა.

– როგორ, კაცო, ყველა ერთად?

– არა, ჯერ ერთი და მერე დანარჩენები მის ქელეხში.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მთავართა უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 2. ყურის ექიმი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. რუსი პოეტი; 5. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 10. სპორტის სათამაშო სახეობა; 11. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 12. ცხოველის ან მცენარის სხვადასხვა ჯიშის ნაჯვარი; 15. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 16. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 17. პატარა, სამკუთხა ალამი; 20. პოლონელი მწერალი, რომანების „თოჯინის“, „ფარაონის“ ავტორი.

**თარაზულად:** 6. დასასვენებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება; 7. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 8. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 18. მანქანაზე ნაქსოვი ნაწარმი; 19. სამშენებლო საქმეში გამოყენებული ბამბის მტკიცე ქსოვილი; 21. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 22. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 23. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ფსევდონიმი; 24. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

